

Ա. ՅԱՀՈՎՈՅՅԵՐՅԱՆ



K97.272  
3



# ԿՈՎՈՄ

“Կովոմ”

8-93:8C1-3



6. ჯგუმაშვილი

# ნერძო

K 9X.2x2  
3



საქართველოს სსრ

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის  
სახელმწიფო გამომცემლობა

„ნაკადული“

19 თბილისი 61



## ნაცარა

მთელი სახლი ერთბაშად გაიგებდა ხოლმე ილიას შინ დაბრუნებას. ბანჯგვლიანი შპიცი ცუგრი, რომელიც უმეტეს დროს მოწყვენილი იწვა ბინაში შესასვლელი კარის წინ, საერთო აივანზე, ყურს მოჰკრავდა თუ არა ქუჩაში ნაცნობი ფეხის ბაკუნს, უმაღვე წამოხტებოდა, კიბისკენ გაიქცეოდა და ყეფით დაეშვებოდა პატრონის შესაგებებლად.

ცუგრი არც მაშინ შეწყვეტდა ყეფას, როცა ილიამდე მიაღწევდა, — გარშემო უტრიალებდა, რამდენიმეჯერ აირბენდა და ჩამოირბენდა კიბეზე და ყეფითვე გაიჭრებოდა ეზოში, თითქოს ამით ყველას ახარებდა საყვარელი პატრონის შინ დაბრუნებას. ილია შესძახებდა ხოლმე ძაღლს გაჩუმდიო, მაგრამ ცუგრი გრძნობდა, რომ ეს გაწყრომა კი არა, უფრო ალერსი იყო, და ამით გათამამებული დიდხანს არ ცხრებოდა.

— ჰო, რაო? რას გაგიჟდი? — იწყებდა ილია ცუგრიასთან ლაპარაკს, — ისე ჰყეფ, თითქოს შენს გარდა აქ არავინაა. ყურთასმენა წაიღე! გაიგე, პირუტყვო, ჩვენ ადამიანები ვართ და გვაწუსებს ხმაური... დიახ, ასეა, ჩემ მეგობარო... ჰო, კმარა ახლა, კმარა! რამდენჯერ მითქვამს, ნუ შემომახტები... მომცილდი, ნუ გამსვარე! — ცდილობდა მოეშო-

რებინა ძალლი და თანაც ეთამაშებოდა: — აი, შე ჭინკავ! აბა, ახლა გადატოდი... ერთიც კიდევ... აი, აგრე, აი, აგრე!

ასე ხდებოდა ყოველთვის, მაგრამ ამ დღეს, საიდანაც ამბავი მეტად უება, მათი შეხვედრა სხვაგვარად დამთავრდა.

დერეფნიდან ჩვეულებრივად გაიჭრა ცუგრი, როგორც კი ნაცნობი ფეხის ხმა მოესმა, ყეფით ჩაირბინა კიბეები, ხალისიანად შეეგება ილიას, ზევითგენ გაბრუნდა დარწმუნებული, რომ პატრონი უკან მოჰყვებოდა, მაგრამ როცა მისი ნაბიჯის ხმა ვეღარ გაიგონა, შეჩერდა და მოიხედა. ილია იქვე იდგა კიბის ბოლოში და რაღაცას დაჰყურებდა. მაშინ ცუგრი შემოტრიალდა და ქვეყით დაეშვა.

შემოსასელელში ორი კნუტი ეგდო. კნუტები ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ნაცრისფერი გადაჭკრავდათ და შუბლზე თეთრი ზოლი აჩნდათ. ორივე თოთო იყო, სიარული არ შეეძლოთ, უმწეოდ გაჩაჩჩულიყვნენ და კნაოდნენ. ალბათ მშივრები იყვნენ და დედა-კატას უხმობდნენ.

ილიამ ერთ ხანს უცქირა ამ უსუსურ არსებებს, მერე გაშორდა, რამდენიმე საფეხური აიარა, მაგრამ იძულებული გახდა ჩაბრუნებულიყო, რადგან კნუტებმა, თითქოს შებრალებას სთხოვდნენ, გულსაკლავ კნავილს უმატეს. მაშინ ილიამ ხელში აიყვანა ორივე და შინისკენ წაიყვანა.

ამას კი სრულიად არ მოელოდა ცუგრი. ერთი ორჯერ სცადა მიექცია პატრონის ყურადღება, გულმოსულად შეჰყეფა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ილია ვერც კი ამჩნევდა მის გაბრაზებას, გაჩუმდა და მოწყენილი მიჰყეა გვერდით.

ცუგრი დიდად უქმაყოფილო იყო. დადუმებული, უხალისოდ ადიოდა კიბეზე და თავისი ძაღლური ჭკუით ასე მსჯელობდა:

— როგორ ეკადრება ისეთ დიდებულ ადამიანს, როგორიც ჩემი პატრონია, კნუტების ხელში ტარება! რა ოხრად უნდა ეს საზიზღარი ცხოველები! კატაზე უფრო ბილწი ხომ ქვეყანაზე არაფერია... სჯობს მომცეს და ისე დაგვდღვნი ორივეს, მათი ტყავის ნაგლეჯიც ვერავინ იპოვოს!

ცუგრიმ ერთხელ კიდევ დაჰყეფა, როცა ილიას კარი გაუღო მისმა ცოლმა ელენემ. ამ დაყეფებით თითქოს შესჩივლა დიასახლისს პატრონის უკადრის საქციელზე.

— ეგ რა მოათრიე?! — შეიცხადა ელენემ, როცა ქმრის ხელში კნუტები დაინახა.



ილიამ შინ შესვლა დააპირა, მაგრამ ცოლმა გზა გადაუდობა.

— გადააგდე, ახლავე მომაშორე! რამდენ ლეგვსა და ცინდალს ქუ-  
ჩიში დაინახავ, ყველა უნდა აკრიფო და შინ მომიყვანო? განა ეგ პირველი იმა-  
შემთხვევა! ქალი არ ვიყო, თუ ეგ ჩვეულება არ მოგაშლევინე.

მოფერებით, ტკბილი სიტყვით შეეცადა ილია მოელბო ცოლის გული,  
მაგრამ ის შეუბრალებელი აღმოჩნდა:

— ახლავე მომაშორე! მათი შეხედვაც მზარავს! — თვალებზე ხელს  
იფარებდა ელენე.

ცუგრი მიხვდა, თუ რატომ ვერ შეებედნა პატრონს ბინაში შესვლა.  
ამით გათამამებული, ეშმაკურად შეჰყურებდა ილიას და გმაყოფილი  
კუდს აქიცინებდა; მერე გასასვლელისკენ გაიქცა, კიბის თავში დადგა,  
შემოტრიალდა და რამდენიმეჯერ დაჰყეფა, თითქოს უუბნებოდა: რად  
აყოვნებ, ჩაბრუნდი და გადაყარე ეგ უხამსი ცხოველები!

ელენეს ხმამაღალ ლაპარაკზე საერთო სამზარეულოდან აივანზე  
გამოვიდნენ მეზობელი ქალებიც და ცოლ-ქმრის დაგაში ჩაერიგნენ.

ყველაზე შეუბრალებელი ქვრივი ტასო აღმოჩნდა.

— როგორ შეიძლება ბინაში კატების გაჩერება! — აღშფოთებას  
გამოთქვამდა იგი. — მათგან მოსვენება აღარ გვექნება, აქაურობას  
რწყილებით აავსებენ და გააბინძურებენ. ამ წუთში გაათრიეთ!

ეს ვეებერთელა, ძალზე მსუქანი დედაკაცი ისე ბობოქრობდა, თითქოს  
რაღაც საშინელების შემსწრე ყოფილიყო, აქნევდა თავის ხელებს, აბრია-  
ლებდა მოწითალო დიდ თვალებს და გუგუნებდა უჩვეულო ბოხი ხმით, რო-  
მელიც თითქოს გაციებულ ყანყრატოდან ამოსდიოდა.

ყველასაგან გაკიცხულმა ილიამ ის იყო გაბრუნება დააპირა, როცა  
ოთახიდან მისმა გოგონამ მაიკომ გამოირჩინა. კნუტების დანახვაზე ბავშვს  
თვალები გაუბრწყინდა, აღტაცებული მიიჭრა მამასთან, უცრად ერთი ცინ-  
დალი გამოსტაცა, გულში ჩაიკრა და გახარებული ისევ ოთახში შევარდა.

მეორე კნუტი ხელში შერჩა ილიას. გაანჩხლებული ტასო მოითხოვ-  
და ეს მეორე მაინც მოეშორებინათ აქაურობისათვის და ილიაც იძულებუ-  
ლი ხდებოდა დამორჩილებოდა, მაგრამ ერთ-ერთმა მეზობელმა, ხანშე-  
სულმა სათნო სახის მარიამმა, გულკეთილობა გამოიჩინა, შეიცოდა უმ-  
წეო ცხოველი, გამოიტანა ძველი პატარა კალათა, ჩააფინა ჩვრები, ჩასვა

შიგ და გალათა განცალკევებულ ადგილას აივნის ბოლოში დადგა, იქ  
სადაც სხვერზე ასასვლელი ხვეული კიბე იწყებოდა.

— გმარა, ნუ კნავი! — სიბრალულით დაჭურებდა მარიამი შარტოდ  
დარჩენილ კნუტს, რომელიც თითქოს ძმისგან დაშორებას ჩივისო, ნაღ-  
ვლიანი ხმით კნაოდა. — დაწყნარდი, ჩუმად იყავი, ნაცარა!

ასე და ამგვარად ერთი ძმა მაიკომ შეიფარა, მეორემ კი კიბის ქვეშ  
იწყო ცხოვრება.

\*

\* \* \*

დიასახლისებმა იმ დღეს დიდი ალიაქოთი ასტეხეს. სამსახურიდან  
ქმრების დაბრუნების დრო მოსულიყო, საღილს ამზადებდნენ და თითქმის  
ყველას სამზარეულოში მოეყარა თავი.

საერთო სამზარეულოში, სადაც ჩამწკრივებულ პატარა მაგიდებზე  
ნაგთქურები და ელექტროდუმელები იდგა, ზოგი წვავდა, ზოგი ხარშავდა,  
ზოგი კიდევ დანით ხორცს კეპავდა, ან როდინში ურახუნებდა. შიშინებდა  
ტაფაზე მოსახრაკავად დაყრილი ხახვი, ბუტბუტებდა ადუღებული წყალი,  
თუხთუხებდა გაცხელებული ერბო, გუგუნებდა პრიმუსი და ამ ხმებს დედა-  
კაცების დაუსრულებელი ქაქანი ერთვოდა.

მეზობლები ხშირად კინკლაობდნენ, ხანდახან ჩხუბიც მოსდიოდათ  
ერთმანეთში. განსაკუთრებით ტასო არ უყვარდათ. ამის მიზეზი ის იყო,  
რომ მისგან თავი ჰქონდათ მობეზრებული: ტასო ყველას ჰკიცხავდა,  
ყველას საქმეში ერეოდა, ყველგან თავისი დიდი ცხვირი უნდა ჩაეჩხირა.  
თვალებიც მოუსვენარი ჰქონდა. — აქ ისედაც სააშგარაოზე იყო ყველაფე-  
რი, მაგრამ მას გული მაინც არ მოუთმენდა სხვის ქოთანში არ ჩაეხედა და  
არ გაეგო, ვინ რას ამზადებდა. ამით უკმაყოფილო მეზობლებს არა ერთ-  
ხელ მოსვლიათ მასთან უსიამოვნება, და ბოლოს, ისე შეიძულეს, რომ  
მრავალი ზებუნებრივი ავი თვისებაც მიაწერეს. მაგალითად, თუ რომელი-  
მე დიასახლისს კერძი უგემური გამოვეცოდა, გადაამლაშებდა,  
გადახრაკავდა ან ზედმეტად ჩახარშავდა, თავის შეცდომას მაშინვე ტასოს  
გადააბრალებდა და გულმოსულად იტყოდა: იმ ნავსმა დედაკაცმა გათვალა  
და გემო დაუკარგაო.

მაგრამ ამ დღეს ტასოსთვის არავის ეფალა. პირიქით, შეხმატები-  
ლებოდნენ კიდეც. ისინი ილიასა და მარიამზე იყვნენ გაბრაზებულნენ ული  
მთელი გულისწყრომა მათ წინააღმდეგ პქონდათ მიმართული, ერთპირად  
ლანძღავდნენ და ემუქრებოდნენ კიდევაც.

— არა, ამის მოთმენა შეუძლებელია! — თვალებს აბრიალებდა  
გააფთრებული ტასო.

— ისდა გვაკლია, კატის გამო მოსვენება დაგვარგოთ! — კვერს  
უკრავდა მოკლეფებიანი შავტუხა დიასახლისი, რომელიც ბუნების  
რაღაც შეცდომის გამო სიმაღლეში კი არა, სიგანეში წასულიყო. — აი,  
ნახავთ რა უბედურებას დაატრიალებს ის საზიზღარი. აღარაფერს არ შეგ-  
ვარჩენს სამზარეულოში!

— სულ ილიასი და მარიამის ბრალია! აბუჩად აგვიგდეს, ხათრი  
არ გაგვიწიეს! — ანჩხლობდა მეზობლად ნავთურასთან მდგარი ძალზე  
გამხდარი დედაგაცი. მან კიდევ რაღაც დაუმატა, მაგრამ ვერავინ გაიგო,  
რადგან ყელიდან ისეთი ხმა ამოსდიოდა, რომ ვერავინ გაარჩევდა —  
ლაპარაკობდა თუ ღრჭიალებდა. დიახ, ზუსტად ისე ღრჭიალებდა, რო-  
გორც დიდი ხნის წინათ ფიცარში ჩაჭედილი ჟანგიანი ლურსმანი, გაშით  
ამოძრობას რომ უპირებენ.

— მე ჩემი ქმარიც არ დავზოგე, ვაიძულე ულვაშები შეეკრიშა,  
რადგან კატის ულვაშს მიუგავდა. ჟო და, მითხარით, ამის შემდეგ შემიძლია  
გულგრილად გუცქირო ცინდალს? — ქოშინით ისროდა სიტყვებს მეოთხე,  
რომელსაც ისეთივე ბრტყელი სახე და ფერხორცი პქონდა, როგორც ტაფა-  
ზე გალასტულ მის საყვარელ კერძს — ერბო-კვერცხს. ის შეუჩერებლად  
ყიყინებდა და თავის ხმას დანარჩენების ქაქანს უერთებდა.

\*  
\*      \*

ამ დროს ნაცარა გასუდრული იწვა კალათაში და, რა თქმა უნდა,  
ვერც კი წარმოედგინა, რა აურზაური გამოეწვია მის აქ ყოფნას. კალათაში  
ჩაგდებული, მხოლოდ შეტრიალდებოდა ხოლმე და დაეძებდა თავის ძმას,  
რომელიც ასლა შაიკოსთან ბედნიერად გრძნობდა თაგს.

მაიკო დიდი ხანია ნატრობდა, პატარა ფისო ჰყოლოდა და, რაღაც  
წადილი შეისრულა, ისე იყო გახარებული, რომ ყველა სათამაშო მიგატოვა  
და მხოლოდ კნუტს დასტრიალებდა. მაშინვე თბილი რძე დაუდგა ფინჯა  
ნით და იმდენი ასევა, სანამ ბურთივით არ დაუმრგვალა მუცელი. მერე  
რბილად დაუგო თავისი საწოლის გვერდით და, რომ არ შესცივნოდა, ერთ  
დედოფალას საბანი აართვა და დაახურა...

სულ აღარ ახსოვდა მაიკოს თავისი საყვარელი ტიკინები, ჭრელი  
ბუოთი, ხავერდის დათვი, სათამაშო ჭურჭელი. ახლა მათ მიმხედავი აღარა-  
ვინ ჰყავდა, ეყარნენ მივიწყებულნი, ათვალწუნებულნი, პატარა დიასახლი-  
სის გულიდან ამოვარდნილნი. მათთვის რომ ვინმეს შეეხედა, აუცილებლად  
შეამჩნევდა, რა გულნატკენი და მოწყენილები იყვნენ. გერც იფიქრებდნენ,  
თუ ასეთ გულცივობას გამოიჩენდა აქამდე მათი მომვლელი და ერთგული  
პატრონი. ის აღარ ესაუბრებოდა, აღარ შეხაროდა მათ. ამის შემდეგ, აბა,  
რა გასაკვირველია, თუ ძალიან ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ!

\*

\* \* \*

მაიკომ თავის კნუტს ხატაურა დაარქვა, თუმცა ეს სახელი სრულიად  
არ შეეფერებოდა. გოგონამ მთელი დღე მასზე ზრუნვაში გაატარა, და  
მხოლოდ მას შემდეგ ჩაიძინა, რაც ცინდალმა თვალები მიღულა.

იმ დამეს ყველამ სიზმარი ნახა და ყველა სიზმარი სხვადასხვანაირი  
იყო.

ილიას დაესიზმრა, ვითომ სადღაც ველზე მიაბიჯებს. გამხმარი  
ბალახი მუხლამდე სწვდება. ცხელა, სუნთქვა ჭირს. ველის ბოლოში ერთი  
ხე დგას. მას მიაშურა, რომ იჩრდილოს და დაისვენოს. უეცრად ჩამო-  
ბნელდა, ჭექა-ჭუხილი ატყდა, ელვამ ცა დასერა და ქარის შემზარავი  
ზუზუნი მოისმა. ქარს რაღაც სასოწარკვეთილი ხმა მოაქვს, ვიღაც შველას  
ითხოვს. გაიქცა ილია, აპა, მიუახლოვდა კიდევაც იმ ადგილს და, მოუ-  
ლოდნელად ხედავს: ხე კი არა, ტასო დამდგარა ტრიალ ველზე, ტოტები-  
ვით აქნევს თავის დიდ ხელებს და შეშინებული ღრიალებს. კაბის კალთა-  
ში კი ნაცარა ჩაჭფრენია, დაუღია პირი და იმოდენა დედაკაცს გადაყლაპ-  
ვას უპირებს. გააფთრებულ კატას ხელი სტაცა ილიამ, ცდილობს მოაშო-

როს, მაგრამ... სწორედ ამ დროს გამოედვიძა. გარშემო სიჩუმე იყო, მხოლოდ გარეთ ქარი ღმუოდა და ფანჯრის სიმაღლეზე ამოსულ აკციის გენტეროს არხევდა.

ელენემ კიდევ უფრო უცნაური რამ ნახა ძილში... შემჯდარა ილია დათვზე, უკან მხეცების დიდი ამალა მოსდევს. ისინი ოთახში შემოჭრას აპირებენ. ელენემ მათ გზა გადაუღობა, მაგრამ მხეცებმა ყურთასმენის წამლები ღრიალი მორთეს... შეშინებული წამოიჭრა ლოგინზე და დაფეხული თვალებით მიმოიხედა. ქმარსა და შვილს მშვიდად ეძინათ. მაიკოს სახეზე ღიმილიც შენიშნა. ის ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს ვიღაცას მიმართავსო ალერსიანი სიტყვით. ალბათ სასიამოვნო სიზმარს ხედავდა.

ცუგრი იმ დღეს ძალიან განაწყენებული იყო თავის საყვარელ პატ-რონზე, განსაკუთრებით მაიკოზე. რაც გოგონამ კნუტი შეიფარა, ცუგრის სულ აღარ აცევდა ყურადღებას. მანამდე ხან პურის ნატეხს გადაუგდებდა, ხან გაეთამაშებოდა ანდა ხუმრობით ფეხს წაკრავდა ხოლმე, დღეს კი ერთხელაც არ გახსენებია, თითქოს არც კი არსებობდა. მთელი საღამო ცუგრი მარტო იწვა, თავი ფეხებში ჩაერგო და მწარე ფიქრებს მისცემოდა. ამ ნაღვლიან გუნებაზე ჩათვლიმა კიდევაც. სამაგიეროდ ისეთი ტებილი სიზმარი ნახა, რომ გულზე მოეშვა: პირი დაევლო კნუტისთვის და ეზოში დაათრევდა. მისი ბეჭვი ქარს ბუმბულივით ჰაერში დაჭინდა.

მეზობლად მობინადრე დიასახლისებიც, რა თქმა უნდა, არ დარჩენილან უსიზმროდ... ძილში მათ ნაცარა გამოეცხადათ. ნაცარა სამზარეულოში შესულიყო და ვისაც რა სანოვაგე ებადა, სულ გადაესანსლა. მაინც ვერ გამდარიყო: ყლაპავდა ჩაიდნებს, კასრებს და ცეცხლმოკიდებულ ნავთქურებსაც კი.

ასე გასინჯეთ, კნუტებსაც ესიზმრათ რაღაც, მაგრამ რადგან ისინი თოთონი იყვნენ, სიზმრებიც ისე პატარა პქონდათ, რომ შეუძლებელია მათ გადმოსაცემად შესაფერისი მოკლე სიტყვის გამოძებნა. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ მათი სიზმრები სხვადასხვაგვარი იყო: ერთის სასიხარულო, მეორესი კი ნაღვლიანი...

მხოლოდ მაიკოს სათამაშოებს არ უნახავთ იმ ღამეს არაფერი. მათ არც კი დაუძინიათ დარღისაგან. კუთხეში მიყრილნი, სევდიანად შესჩიოდნენ ერთმანეთს, რომ გოგონამ სამუდამოდ გული აიყარა მათზე. ერთმა

ტიკინამ, რომელსაც მაიკო ღამით ყოველთვის გვერდით იწვენდა, ისეთი  
ტირილი მორთო, რომ ყველას გული აუჩილდა და ცრემლი მოვრია  
ხავერდის დათვი რომ არ ჩარეულიყო ამ ამბავში და არ დაემშვიდებინა ისინი, ვინ იცის, რა აუზაური ატყდებოდა.

დიახ, ნამდვილად ასე იყო, ასე მოუსვენრად გაატარეს ის ღამე ზემო  
სართულის მობინადრეებმა.

\* \* \*

თხრობა გაგვიგრძელდება, თუ ნაცარას და ხატაურას ცხოვრების  
თვითეულ დღეს თანმიმდევრობით აღწერთ. წამითხველისათვის და,  
განსაკუთრებით, მთხრობელისათვის სასარგებლო იქნება, თუ ერთი თვით  
გავუსწრებთ ამბის მდინარებას. ბოლოს და ბოლოს, ათასგვარი საქმე გვა-  
წევს კისერზე და ერთ ან ორ უგუნურ პატარა ცხოველს ხომ ვერ შევწირავთ  
ჩვენთვის ძვირფას დროს!

ხატაურა ქუდბედნიერი აღმოჩნდა იმ შემთხვევითობის გამო, რომ  
გარეგნობით ერთმანეთისაგან სრულიად განურჩეველ ძმებში მაიკომ  
ანგარიშმიუცემლად მას დასტაცა ხელი. პირველ დღიდანვე ის განცხრო-  
მაში იყო. სულ მალე ხორცი შეისხა, დამშვენდა, ხალისით აიგვი. მთელი  
დღე ცელქობდა — ძაფის მორგვს დააგორებდა, წეწავდა ფანჯრებზე  
ჩამოკიდებულ ფარდებს, დახტოდა სკამებზე და მაგიდებზე, ბრჭყალებს  
ილესავდა პარკეტზე, დაგორავდა ხალიჩაზე, კუთხიდან კუთხეში დაპქონდა  
ტახტიდან გადმოთრეული პატარა ჭრელი ბალიშები. ალბათ დარწმუნე-  
ბული გახლდათ, რომ ყველაფერი, რაც ბინაში მოიძებნებოდა, მხოლოდ  
მის გასართობად მოეტანათ.

ამ ნივთებს შორის ხატაურას ყველაზე მეტად კუთხეში დადგმული  
კედლის დიდი სარკე უყვარდა. ყოველთვის, როცა კი ამ სარკესთან  
მივიდოდა, იქიდან მაშინვე შემოეგებდოდა ხალისიანი, გაკვირვებით  
შემომცერალი თავისი მსგავსი და თანატოლი ცინდალი. ისიც ზუსტად  
ისეთსავე ოთახში ცხოვრობდა, იქაც იმგვარივე სკამები, გარადა და სა-  
წოლები იდგა. ყველაფერზე ეტყობოდა, ისიც ბედისნებიერი იყო, მაგრამ,

რატომღაც, ახირებული ხასიათი ჰქონდა: ბევრს ეცადა ხატაურა, მაგრამ ვერ იქნა და უერაფრით გადმოიტყუა სარკიდან, რომ ერთად ენავარდათ ბინაში და ერთად ეტარებინათ დრო.

მთელი დღე თამაშით გასაგათებული ხატაურა ღამით მოიწყენდა ხოლმე. დაიძინებდა თუ არა მაიკო, მის ოთახში სინათლე ქრებოდა. უცბადვე გაუჩინარდებოდა სარკეც და აღარც ის მეორე კნუტი ჩანდა. მაშინ მარტოდ დარჩენილი ხატაურა მიაშურებდა მეზობელ ოთახს, სადაც მაგიდასთან მჯდარი ილია რაღაც ქაღალდებს ქექავდა, შეხტებოდა მაგიდაზე და იქვე სანათურთან მოიკალათებდა. ხატაურამ არ იცოდა, რომ ილიას, სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაქს, წინ ედო მეტად მნიშვნელოვანი ქაღალდები, — ამიტომ უდარდელად წვებოდა იმ ფურცლებზე და კრუტუნებდა.

ასე განცხრომაში ცხოვრობდა ხატაურა. მას ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, თითქოს ამ ოთახებით შემოიფარგლებოდა მთელი სამყარო და ეს სამყარო ყოველთვის და ყველასათვის მაძღარი, თბილი და ალერსიანი იყო.

სულ სხვაგვარად მიმდინარეობდა ნაცარას ცხოვრება. ხშირად მას ერთი ლუკმაც არ ჰქონდა და ალბათ ტანჯვაში დალევდა სულს, რომ გულვეთილ მარიამს არ გახსენებოდა ხოლმე და რაიმე არ მიეტანა.

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ბოლოს ამ სათნო ადამიანის მოწყალებაც მოაკლდა: ერთ დღეს მარიამმა იქაურობა დატოვა და საცხოვრებლად სხვა უბანში გადავიდა.

ნაცარა ერთ ხანს კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ მისი კეთილის-მყოფელი ისევ მოვიდოდა, მაგრამ დღეები დღეებს მისდევდა, ის კი აღარსად ჩანდა.

ამ ახალ განსაცდელს, ცხადია, ვეღარ გაუძლებდა კნუტი, რომ ისევ ილიას არ გამოეჩინა გულშემატკივრობა და ხანდახან მაინც არ მიეხედნა მისთვის.

ასე იყო თუ ისე, გავიდა თვე, ნაცარა წამოიზარდა და ერთ ღამეს, როცა აიგანზე ბნელოდა, იმდენი ძალა იგრძნო თათებში, რომ კალათიდან ამოსვლაც კი შეძლო. ეს წუთი პირდაპირ სასწაულებრივი და ამასთანავე სასიხარულო იყო მისთვის. აქამდე, სანამ კალათაში იყო მომწყვდეუ-

ლი, ქვეყანა ისე ვიწრო ეჩერენებოდა, რომ ვერც კი ჭარმოედგინა, თუ თაგისუფლად ფეხების გაშლის საშუალება ექნებოდა. ახლა კი უცრად ეს ქვეყანა განუსაზღვრელად გაფართოებულიყო.

გადმოვიდათ არა კალათიდან, უსასრულო სიცრცე გაიშალა მის წინ. ზევით, მიუწვდომელ სიმაღლეში, რაღაც მსიარული წერტილები ციმცი-მებდა, ქვემოთ კი გაჭიმულიყო განიერი, გრძელი აივანი, საღაც თავისუფ-ლად შეიძლებოდა სიარული.

ნაცარამ სინათლე დაინახა ოთახებში და იქითვენ გაემართა. იქაც რაღაც დიადის, რაღაც საკვირველის დანახვას ელოდა, მაგრამ უცრად სულ სხვაგვარად შეტრიალდა ყველაფერი: მოულოდნელად ვიღაც დედა-კაცმა კარი გააღო, კნუტის დანახვაზე შემზარავი ხმით შეპყვი-რა და უმწეო ცხოველს ყიჯინით დაედევნა. შემინებულმა ცინდალმა იგრძნო საფრთხე, პირი იბრუნა, ჯერ კალათისაკენ გაიქცა, მერე ხვეულ კიბეს მიაშურა, საფეხურები აირბინა და სხვენზე ამოკყო თავი.

სიბნელემ და მყუდროებამ, რომელიც იქ დახვდა, იმედი გაუდვიძა, საშიშროება ავიდინეო. შეძრა სადღაც ნიშში, გაისუდრა და ყური მიუგდო, ხომ არაფერი ისმისო ქვევიდან.

დიდხანს იყო ასე გადარაჯებული. ბოლოს, როცა გული დაიმშვიდა, გათამამდა, წამოდგა და მიმოიხედა.

იქაურობა შეათვალიერა და ერთბაშად გაოცდა: დიდად საკვირველი სანახაობა გადაეშალა თვალწინ. მსგავსი რამ არა თუ არ ენახა აქამდე, ოცნებაშიც არ მოლანდებია. აურაცხელი სიმდიდრე იყო აქ. ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ასე ახლოს, მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის დაშო-რებით აივნის იმ კუთხიდან, სადაც მისი კალათა იდგა, ამ უთვალავ საგან-ძურს იპოვიდა.

უამრავი ნივთი და სამკაული ეყარა გარშემო: ნაპირჩამომტკრეული ქოთნები, ძროგამოვარდნილი ტაშტები, კასრები, ფეხმოტებილი სკამები, ძველი საბავშვო ველოსიპედი, თავაგლეჯილი ჩემოდნები, შუშის ნამსხვრე-ვები, დამპალი ჩარჩოები, დაუანგული თუნუქის ღუმელი, ყველაფერი ეს ზოგან ერთმანეთზე დახვავებული, ალაგ უწესრიგოდ მიმოფანტული.

— სამდურავი აღარ მეთქმის, რომ ვიღაც ბრაზიანი დედაკაცი დამე-დევნა! — კმაყოფილებით გაიფიქრა, ნაცარამ. — არ დაგფარავ, მაშინ



დიდი შიში გჭამე, მაგრამ აქ მოსელამ დამავიწყა და ერთი ასად ამინაზ-ღაურა ყველაფერი. რადგან ასე სასიკეთოდ შეტრიალდა ჩემი ბედი, მიჰამისა ტიებია როკაპი დედაკაცისთვის მისი სიავე. ის რომ არა, იქნებ ვერსია დეს ელირსებოდი ამ ზღაპრულად შემცული ქვეყნის ხილვას!

სხვენზე სხვა მრავალი მომშიბლავი და თვალისთვის სასეირო სა-ნახაობაც მოიძებნებოდა. საუცხოო შესახედავი იყო ერთიმეორესთან ახლოს ჩამჭერივებული სვეტები, რომელთა შორის გამჭვირვალე ქსოვილი იყო გამ-მული. ასეთივე ქსოვილები, რომლებზედაც ძვირფას სამკაულებად მიმნეუ-ლი იყო ათასგვარი მწერი, ამშვენებდა ჭერს, კედლებს და განსაკუთრებით ყველა კუთხეს.

— არა, არავითარი სამდურავი! — თანდათან ხალისი ემატებოდა ნა-ცარას. — ეგ კი არა, მზად ვარ მადლობა გადავუხადო და ეს სიმდიდრუ გავუზიარო! რად მინდა ერთს ამდენი ქონება!

უეცრად კუთხის სოროდან რაღაც პატარა ცხოველმა თავი ამოჰყო და გაბედულად გამოკვანებულდა.

— ეს ვინდაა? — გაოცებით მიაჩერდა ნაცარა. — ერთი ციცქნაა და რა გრძელი კუდი აქვს!

პირველად ხელავდა ასეთ უცნაურ არსებას.

გრძელკუდამ წრე შემოავლო, ერთ ადგილას შეჩერდა, დაყნოსა, შეა-თვალიერა დახვავებული ძველმანები და ისევ გაინავარდა.

— ალბათ ეს არის ამ სიმდიდრის მფლობელი! — გაიფიქრა ნაცარამ, რომელიც უცხო სტუმარს გასუდრული მიშტერებოდა.

პატარა ცხოველმა თითქმის ყველაფერი მოინახულა და მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ნაცარა წამოსკუპებულიყო.

აქ კი მეტი ვეღარ მოითმინა ნაცარამ, წამოიჭიმა უკანა ფეხებზე და სიამოვნებისაგან დაიკრუტუნა.

ამ ხმის გაგონებას, როგორც ჩანს, სულ არ მოელოდა გრძელკუდა. მან შეშფოთებით მიმოიხედა და, როგორც კი ორი ბრჭყვიალა წერტი-ლი — კნუტის თვალები — დაინახა, უმაღვე შეტრიალდა, სოროსკენ მოკურცხლა და შიგ შესრიალდა.

ეს ამბავი არ ესიამოვნა ნაცარას.

— რატომ დამემალა? — გაკვირვებული ეკითხებოდა თავის თავს. — რამ შეაშინა, რა საფრთხობელა მე მნახა? განა მე ცუდ რაიმეს ვუზამდი?!

პირიქით, გავეცნობოდი. სხვა თუ არაფერი, ხანდახან მაინც თავს გავი-  
რთობდი მასთან თამაშით!

სევდიანი იყო ნაცარა, მაგრამ მარტოობაზე უფრო ახლა ის უძუნვებდა  
რომ დილიდან ლუკმა არ ჩაედო პირში. შიმშილის გრძნობას კიდევ უფრო  
უძლიერებდა გამაღიზიანებელი სუნი, რომელსაც მისი მახვილი ყნოსვა  
იჭერდა. ასეთი სურნელებისაგან ბევრჯერ თავბრუ დახვევია წინათ, როცა  
თოთო იწვა კალათაში. ნაცარამ იცოდა, საიდან მოდიოდა იგი და გული  
იქით მიუწევდა.

— ჩავალ და მოვძებნი, იქნებ რაიმე ვიპოვო! — ინუგეშა თავი, უკანა-  
სკნელად თვალი მიმოავლო იქაურობას, სიფრთხილისთვის კიბიდან  
ჩაიხედა, ხომ არაფერი საშიშროება მომელისო და საფეხურებს ჩამოჰყვა.

ივანზე ბნელოდა. კარები ყველგან მიხურული იყო. სამშარეულოსთან  
შემწვარი ხორცის სუნი ტრიალებდა. ხარბად შეისუნთქა პაერი, დაზვერა  
აიგანი, მაგრამ ვერაფერი იპოვა და, იმედი რომ გადაუწყდა, ისევ თავის  
კალათას მიაშურა.

\*

\* \* \*

ადრე იყო, როცა თვალები გამოაჭყიტა. ძილისგან ძალა შემატებოდა,  
კარგ გუნებაზე გამოეღვიძა და ისე ეჩერებოდა, თითქოს ყველაფერი  
რიგზე იყო მის ცხოვრებაში.

თამამად ამოვიდა კალათიდან, შესკუპდა აივნის მოაჯირზე და გარშე-  
მო მიმოიხედა. ჯერ კიდევ ბურუსი იდგა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ  
იქაურობას მაღლე მზე მოეფინებოდა. ალაგ ცის ნაჭერი ჩანდა ისეთი  
ლურჯი და მიმზიდველი, რომ ნაცარას მოუნდა თავისი თათებით მიწვდო-  
მოდა და მიალერსებოდა, ახლად გაღვიძებული ბეღურები დაფრთხი-  
ალებდნენ ეზოში, ჩაუქროლებდნენ ხოლმე აივანს. განთიადის სიჩუმეში  
მხოლოდ მათი მხიარული ჟივეუფი ისმოდა.

ეს იყო მეორე დღე, რაც ნაცარა კალათიდან ამოვიდა და დიდ ქვეყა-  
ნაში ფეხი შედგა. ამ მოკლე დროში ბევრი საკვირველი რამ ნახა —  
სიგრძეზე გაჭიმული აიგანი, სხვენი, მისი აურაცხელი სიმდიდრე და საო-  
ცარი გრძელგუდა! ნუთუ კიდევ არსებობს რაიმე ამათზე უფრო ფასდაუდე-  
ბელი და უცნაური?!

ხალისით შეპყურებდა ყველაფერს და თითონაც არ იცოდა, რატომ. ასე ეგონა, რომ გუშინდელს აქეთ, ამ ერთ ღამეში, მთელი გარემო გამოიწვევის და განუშომლად უკეთესი გამხდარიყო.

დიასახლისების ადგომის დრო ახლოვდებოდა, მაგრამ ახლა მათი შიში აღარ ჰქონდა ნაცარას. ეგ კი არა, ნატრობდა როდის გაიღებოდა კარები და ხალხი გარეთ გამოეფინებოდა. ამ საუცხოო დილას დედაგაცებიც, რა თქმა უნდა, სულ სხვა გუნებაზე გაიღვიძებდნენ, გულკეთილად შეხვდებოდნენ და ალერს არ მოაკლებდნენ... არა, ამ მშვენიერ ქვეყანაზე ამიერიდან აღარავინაა ავი და ბოროტი, ყველა სათნო და კეთილია!

მოულოდნელად ერთ ფანჯარაზე ფარდა შეირჩა: ნაცარას ეგონა, რომელიმე დიასახლისი გამოჩნდებაო იქიდან და როგორ ეოცა, როცა აღამიანის ნაცვლად სხვა სულიერი გამოჩნდა!

რაფაზე კნუტი შემოჯდა. ისეთი ფუნჩულა იყო, ისეთი პრიალა ბეჭვი ჰქონდა, რომ პირველი შეხვდით ხავერდიდან გაკეთებულს ჰგავდა. მისი სახე და თვალების ციმციმი ნათლად მოწმობდა, რომ მაძღარი და თავისი ხვედრით კმაყოფილი იყო.

ის კნუტი ხატაურა გახდათ.

— თითქოს ჩემი მსგავსია, — მიშტერებოდა ნაცარა, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია, რომ ისინი ძმები იყვნენ.

ხატაურას კი, როგორც ეტყობოდა, არ გაკვირვებია და დიდად ესიამოვნა ეს შეხვედრა.

— ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გარეთ გამოსული გნახე, ახლა შემიძლია შეგხსო კიდევაც და შენთან თამაშით გული ვიჯერო! — აბბობლენენ მისი გაბრწყინებული თვალები.

ხატაურა დარწმუნებული იყო, რომ იმ ცინდალს ხედავდა, რომელიც აქამდე სარკეში ჰყავდა ნანახი. გაუწოდა თათი, გამოხტომაც დააპირა, მაგრამ ერთხელ კიდევ დააკვირდა და მიხვდა, რომ შეცდა. ეს ახალი ნაცნობი ძალიან გამხდარი იყო, ბინძური ჩენწი ძლიეს უფარავდა ზურგზე და ფერდებზე ამობზუკულ ძვლებს. არა, ნამდვილად სხვა იყო ის, სულ არ ჰგავდა სარკის მეგობარს!

ნაცარაც ეჭვნეულად შეპყურებდა. დიდხანს ვერ მოაშორა თვალი, ბოლოს გადაწყვიტა თითონაც ასულიყო რაფაზე და ის იყო შესახტომად მოემზადა, რომ ოთახიდან კაცი გამოვიდა, თან ცუგრი გამოჰყა. ძაღლის

დანახვით დამფრთხალი ნაცარა უმალვე შეტრიალდა, ელვის სისწრაფით  
გაიქცა ხევული კიბისკენ და ზევით ავარდა.

სხვენზე ისევ უშიშრად იგრძნო თავი, მაგრამ ვეღარ პპოვა სულიერობა  
სიმშვიდე. სულ იმ უცნაურ შევეღდრაზე ფიქრობდა. რა იყო ეს, მოჩვენება  
თუ ცხადი? როგორ მოხდა, რომ მისი მსგავსი არსება არ უფრთხოდა. ადა-  
მიანს, არც ძალს და მათთან ოთახში ცხოვრობდა? არა, იქნებ მართლა  
მოელანდა?

რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო მეტი გაოცება იპყრობდა. ისეთი  
საკვირველების მოწმე გამხდარიყო ამ რამდენიმე წუთის წინ, რომ მასთან  
შედარებით სხვა ყველაფერი უმნიშვნელოდ ჩათვალა. აქამდე ზღაპრულ  
სამყაროდ მიჩნეული სხვენიც ახლა უფერული და მოსაწყენი ეჩვენე-  
ბოდა. აღარაფერი არ ახარებდა აქ. უნდოდა, ისევ ძირს ჩასულიყო, ერთხელ  
კიდევ დაენახა ხატაურა და დარწმუნებულიყო, რომ კი არ მოლანდებია,  
იგი ნამდვილი არსება იყო.

ქვევიდან ლაპარაკი და ფეხის ხმა გაიგონა. ახლა იქ გამოჩენა სახი-  
ფათო იყო მისთვის. ლოდინი ამჯობინა მაგრამ ბოლოს სურვილმა მაინც  
დასძლია და დატოვა სხვენი.

ჩამოვიდა თუ არა აივანზე, უმალვე იმ ფანჯრისკენ გაიხედა, სადაც  
კნუტი ეგულებოდა... რაფაზე სიცარიელე იყო. მხოლოდ ფარდას არხევდა  
დილის ნიავი.

— რა თქმა უნდა, არავინ არ ყოფილა, — მწარედ გაეცინა გულში. —  
შიმშილმა გონება ამიმღვრია და მომეჩენა, მეტი არაფერი...

თანდათან ავიწყდებოდა თავისი ნაბოდვარი, განუახლდა შიმშილის  
მწვავე გრძნობა, ჩაცუცქდა კიბესთან და ნაღვლიანად მიაპყრო თვალი  
სამზარეულოს, საიდანაც სასიამოვნო სუნი გამოღიოდა.

— მეტი ძალა არაა, ბედი უნდა ვცადო! — გადაწყვიტა და სამზარეუ-  
ლოს მიაშურა.

იმ დროს სამზარეულოში ტასო საქმიანობდა. იღბლად ის ზურგშე-  
ქცევით იდგა და არ დაუნახავს, როგორ შევიდა ცინდალი. ნაცარა კუთხეში  
მიყუდებულ გეჯას ამოეფარა და იქიდან მალვით იცქირებოდა. უცურად  
თვალი მოჰკრა საინზე ხორცის ნაჭერს, თავი ვეღარ შეიმაგრა, მიიპარა  
მაგიდასთან, ახტა, ხორცს ბრჭყალები ჩაასო და ის იყო გადმობთრია,  
რომ ნაპირზე დადგმული საინი დაპყვა თათს, იატაკზე გადმოვარდა და  
დაიმსხვრა.

ადგილად წარმოსადგენია, რა ამბავს დააწევდა დედაგაცი. მან ისეთი  
ხმით შეიცხადა, რომ ფანჯრის მინებმა ზრიალი იწყო.

დამფრთხალ კნუტს აღარაფერი უქებნია, მოკურცხლა კარებისებები.  
თითქოს კიდევაც უშეელა თავს, მაგრამ ტასოს კივილზე თააზებიდან  
აიგანზე გამოცვენილმა დიასახლისებმა გასაქცევი გზა გადაუჭრეს.

ჯარასავით დატრიალდა ნაცარა, ცდილობდა თავი დაეღწია, მაგრამ  
ვერაფერს გახდა, — ვინ ცოცხს ურტყამდა, ვინ ჯრს. ქალების ყვირილს  
ბოლოს ცუგრის ყეფაც შეუერთდა. გახარებული ძაღლი გულდაგულ ეცა  
და ფეხქვეშ მოიგდო.

— აგრე მაგას, აგრე! — აქეზებდნენ დედაგაცები და, თითქოს ეს შეძა-  
ხილი ძაღლას მატებდათ ძაღლს, ის უფრო დაუნდობელი ხდებოდა და კიდევ  
დიდხანს, სანამ ნაცარამ გრძნობა არ დაკარგა, პკბენდა, ტყავს აგლევდა,  
გასისხლიანებულს აქეთ-იქით დაათრევდა.

ცუგრის მხოლოდ მაშინ უშეა პირი თავის მსხვერპლს, როცა დარწმუნ-  
და, რომ ნაცარას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ცუგრი კმა-  
ყოფილი და ნასიამოვნები იყო, ძველი ჯავრი რომ იყარა.

აიგანზე კიდევ დიდხანს არ შემწყდარა დედაგაცების ყურთასმენის  
წამღები სმაური, — ყიყინებდა მოკლეფეხებიანი, ჭრიჭინებდა გრძელჭი-  
სერა, ქაქანებდა ერბო-კვერცხის მოყვარული და გუგუნებდა ტასო...  
ეშველათ, განთავისუფლდნენ! როგორც იქნა, მოიშორეს ის აბეზარი!

რაფაზე წამოსკუპებული ხატაურაც კი, რომელიც ამ ამბის მოწმე  
იყო, ისეთი ხალისით შესცეკრთდა აიგანზე თავმოყრილთ, თითქოს იზია-  
რებდა მათ სიხარულს.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ დაუნახავს და არც გაუგონია ნაცარას, —  
ის უკვე ეზოში ჩატანათ და სანაგვე ყუთში ეგდო.

\* \* \*

ყველაფერს დასასრული აქვს და, ცხადია, ეს ამბავიც აქ უნდა დამთა-  
ვრებულიყო, რომ ერთ მოულოდნელ გარემოებას ხელი არ შეეშალა:  
უწყალოდ ნამეგვ და ძაღლისაგან ნათრევ ნაცარას მიაწყინა შერჩენოდა  
სიცოცხლე.



პირველ წუთებში, როცა გონს მოვიდა და თვალი გამოახილა, ვერ იქნა და ვერაფრით გაერკება, სად იმყოფებოდა, ან რა დრომ განვღო იშვიათების შემდეგ. ძლიერ მოაგონდა, რომ მაშინ დილის მზე ანათებდა, ახლა კი ღამე იყო...

ასწია თავი და შეშფოთებით მიმოიხედა. ეზოში არავინ ჩანდა, არც აიგანავა. ყველგან ბნელოდა, სიჩუმე იყო.

მაშინვე მოისაზრა, რომ მალე უნდა გასცლოდა აქაურობას. მწვავე ტკივილებს გრძნობდა, მაგრამ მოიკრიბა ძალა, ამოძვრა სანაცვედან, თითქმის ფორთხვით გაიარა ეზო, დიდხანს იწვალა, სანამ აიგანს მიაღწევდა და მერე ხვეულ კიბეზე აცოცდა.

მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შევებით, როცა სხვენზე ავიდა. იქ უშიშრად იღრძნო თავი, მაგრამ ღონებისდიღმა მალე ისევ დაკარგა ცნობა.

იმ დამეტ და მეორე დღემ ისე გაიარა, არაფერი გაუგია, და ბოლოს, როცა გამოედგიძა, დაინახა, რომ ისევ ღამე იყო.

გარშემო ძელებურად იყო ყველაფერი... ისევ ის ჯადოქრული გარემო აურაცხელი სიმდიდრით...

მესამე დღეა პირში არაფერი ჩაედო, მაგრამ ახლა წყურვილი უფრო სტანჯავდა. ესეც კიდევ ახალი საწვალებელი!..

წამოდგა, ანგარიშმიუცემლად მოიფათურა ყველგან. არა, არსად იყო წყალი. მხოლოდ რკინის კასრები, თავაგლეჭილი ჩემოდნები, თუნექის ღუმელი... ამდენი განძი, ოლონდ რა ბედენაა! დე, ყველაფერი ეს ფასდაუდებელი იყოს, მაგრამ როცა ერთი წვეთი წყალი გენატრება, იქ, თურმე, გროშადაც არ ღირებულა...

სხვენის სარკმელის წინ რომ გაიარა, გრილმა ჰაერმა მიიზიდა, აცოცდა და მერე სახურავზედაც გავიდა.

სახურავის სიმაღლიდან უეცრად მის წინაშე თვალუწვდენი სივრცე გადაიშალა. უამრავი სახლი გადამომდა ერთიმეორეს. ცაში ღამე იყო, მაგრამ მიწაზე დაცვენილი ურიცხვი ვარსკვლავი ანათებდა ქვემოდან და ფანტავდა ბნელს.

ამ უცხო სანახაობით გაკვირვებული ნაცარა უნებურად შედგა და თვალი მიაშტერა გარემოს. რა განუზომლად დიდი ყოფილა ეს ქვეყანა!.. სადღაც იქ წყალსაც მოძებნის და წყურვილს მოიკლავს... წყურვილს მოი-

კლავს და მერე იქნებ მარიამიც იპოვოს... უთვალავი სახლი ჩანს და,  
ცხადია, სადმე იქ ცხოვრობს ის კეთილი, სათნო აღამიანიც... რომ გაბედოს  
და წავიდეს მის საძებრად?! აი, გადაივლის ერთ სახურავს, იქიდან მეორეს,  
მესამეს და ივლის ასე, სანამ არ იპოვის... ის შეიფარებს, წყალს დაალევი-  
ნებს და რბილად ჩაუფენს დასაძინებლად მიჩენილ კალათაში... ქვეყანა  
ასეთი დიდი ყოფილა და როგორ შეიძლება იქ ბევრი სიკეთეც. არ იყოს...  
ქვეყანა ასეთი ლამაზი ყოფილა და როგორ იქნება, რომ კეთილნი არ იყვნენ  
ისინი, ვინც ეს სილამაზე შექმნა!

მოჯადოებულმა დიდხანს თვალი ვერ მოაშორა შორ სივრცეზე გადა-  
შლილ ქალაქს. ბოლოს, გადადგა ნაბიჯი, გაიარა სახურავი, გადავიდა  
მეორეზე და გასწია წინ იმ ნათელ, მოციმციმე გარსკვლავებისაკენ.



## პინკა-ბიჭები

ერთი უზნის მოალე გათიანე

ოდესლაც ამ ფერდობს გვიმრალი რქმეოდა, საბალახოდ გაშვებული ადგილი ყოფილა. სამი მხრით ტყე ერტყა, აღმოსავლეთით, გორაკის თავზე წამომდგარი ეკლესიის ქვემოთ კი, სოფელი იყო გაშლილი.

ახლა იმ გვიმრალს აბესაძეების უბანს უწოდებენ.

პირველად აქ ლაზარე დასახლებულა. ლაზარეს ხუთი ვაჟი ჰყოლია: იაკო, თედორე, ბაპუნა, ალმასხანი და შოშიტა.

ოჯახი ცხოვრობდა ისლით დახურულ ქვიტკირის გრძელ სახლში, სა-დაც ზამთრობით პირუტყვსაც შემოიხიზნებდნენ ხოლმე.

როცა დრომ მოაწია, უფროსი ბიჭები დაქორწინებულან და თვითეულს ქალიშვილების გარდა, გაშიც შესძენია: იაკოს — იროდიონი, თედორეს — ეზეკია, ბაპუნას — ივანე, ალმასხანს — სპირიდონი. ბოლოს უმცროსმა შოშიტამ მოიყვანა ქალი და მომრავლებულ გვარეულობას კიდევ ორი ბიჭი შეეძინა: შალვა და როსტომი.

პაპა ლაზარემ იმდენ ხანს იცოცხლა, რომ შვილები კინაღამ სიბერეში დაეწივნენ, ხოლო შვილიშვილები მოწიფულობაში შევიდნენ. ბევრი გასა-

ჭირის გადამტანი, მოხუცობაში მშვიდად ცხოვრობდა და მშვიდადებები მიიცვალა: წინკართან რომ საჩრდილობელი ბჟოლის ხის ძირში გათლილი გრძელება იდო, იქ ჩამოჯდარს სამუდამოდ ჩაეძინა.

მალე ეს დიდი ოჯახიც დაირღვა. ძმები გაიყარნენ და ცალკე გავიდნენ. მამისეული სახლი, წესისამებრ, უმცროს შოშიტას დარჩა. უფროსებ-მა ახალი ოდები აიშენეს, ეზოები შემორაგვეს და ვაზი ჩაყარეს... გვიმრალ-ზე, სადაც წინათ ლაზარე ესახლა, ოთხი ახალი კერა გაღვივდა.

ასე იყო და ასე გაჩნდა აბესაძეების უბანი.

\* \* \*

წლები გავიდა. ლაზარეს შვილიშვილებიც დაქორწინდნენ და მათაც ვაჟები შეემატათ: იროდიონს — აბესალომი, ეზეკიას — სანდრო, ივანეს — იასონი, სპირიდონს — დავითი, შალვას — ლასია და გრიგოლი, როსტომს — ლაზარე.

ცისკრიდან სამხრობამდე, დარში თუ ავდარში, მამაკაცები ყანაში და ვენახში მუშაობენ. ხუთი სახლის სახურავიდან კერის კვამლი ბოლაგს, ქალები შინ საქმიანობენ, პატარებს კი საღმე ეზოში თავი მოუყრიათ, კენჭობიათი ერთობიან ან სათამაშო ურიკელას აკოპიტებენ. მზე აცხუნებს, სიჩუმეში მხოლოდ ჭიჭინების საგალობელი ისმის, მესერზე მიბმული ხბო თუ დაიბლავლებს ხოლმე, ან ღობეზე შემხტარი მამალი იყივლებს.

გამოცოცხლდება უბანი საღამო ხანს, როცა მამაკაცები ყანიდან დაბრუნდებიან. ეზოებს მათი ხმა აღვიძებს, დედაკაცები ოჯახის პატრონებს თავს დასტრიალებენ და პატარებსაც საზრუნავი უჩნდებათ — ცივი წყლის მოსატანად წყაროსკენ მიტყაბუნობენ. მიღიან, მიიჩქარიან თამაშით, ყვირილით. თუნგულებს ავსებენ და ბატის ჭუკებივით გაბაწრულნი. ბრუნდებიან.

დაივახშმებენ, კერიას ცეცხლს ნაცარში გახვევენ და უბანი ისევ სიჩუმეში იძირება. მთვარე ცვარს აყრის მიწას, ორღობეში მუქი ჩრდილი წევს და ჭიჭინების ძილისპირული სოფლის სიმშვიდეს უნანავებს.

\* \* \*

ამ შვიდ ბარტყს — ჭინკა-ბიჭებს, როგორც მათ ეძახდნენ — ბუნებით დაწესებული ბავშვობა ხანმოკლე პქონდათ. ბედმა ისე ინება, რომ უდარ-დელი წლები ერთბაშად მოსწრაფებოდათ. აღარც კენჭობია და ურიკელა, აღარც პანტის საპოვნელად ტყეში ხეტიალი—უცბადვე წარსულად იქცა ყველაფერი.

ჭინკა-ბიჭების მამები, რუს ფარაჯებში გადაცმულნი, შორეულ ქვეყ-ნებში წაასხეს ვილპელმთან საომრად, ქმრების ჩოხა-ახალუხი კი დედაგა-ცებმა სათუთად შეინახეს სკივრში: უკან მოვლენ და რიგზე დახვდე-ბათო.

წავიდნენ ოჯახის უფროსები და მაშინ პირველად დადუმდა აბესაძე-ების უბანი.

სახნისზე მოკიდება, ტვირთის ზიდვა და სხვა საგაუკაცო მოვალეობა პატარებს დააწვათ კისერზე. შვიდივემ ნააღრევად იგრძნო ცხოვრების სუსხი და იგემა მისი სიმწარე. მათ ბავშვურ სახეს ის მკაცრი იერი შეერია, მოწიფულ მამაკაცებს რომ აქვთ.

დიდხანს ელოდნენ ქალები თავის პატრონებს, მაგრამ იმათგან ბოლოს მხოლოდ ერთი დაბრუნდა — ყავარჯენზე დაყრდნობილი იროდიონი. ის დღესაც დაბოგინობს და ცოცხალი ფეხის ნაცვლად თავისი ხელით გამო-თლილ მუხის კეტს მიითრევს. მეზობლების მოსიყვარულეა და ყველასთან ხალისიანი შეხვედრა იცის, ოღონდ ერთი უცნაურობა სჭირს: გნახს სხლავს თუ ცას შეპყურებს, მინდორშია თუ ღამით კერიას უზის, მხოლოდ ის დღეები უდგას თვალწინ, როცა ბრძოლის ველზე სიკვდილთან დაძმობი-ლებული იყო. თითქოს სხვა არაფერი ენახა ამქვეყნად, არც ახალგაზრდობა პქონოდა არაოდეს, არც რაიმე კეთილად მოსაგონარი.

დრო თურმე კეთილი მკურნალია. ყველას გაუყუჩა და მოუშეშა ტკივი-ლი. პატარები, ოდესღაც ის ჭინკა-ბიჭები, დავაუკაცდნენ, სკივრებიდან ამოალაგეს დიდი ხნის წინათ გამოტირებული და მივიწყებული მამების ჩოხა-ახალუხები და მალე კიდევაც დაქორწინდნენ.

მაგრამ ის იყო დასრულდა მაყრიონის ლხინი ყველაზე უმცროს ლა-

ზარეს სახლში, რომ შვიდივე ომში წავიდა პიტლერთან საბრძოლველად.  
წავიდნენ და არც ერთი არ დაბრუნებულა.  
მაშინ მეორედ დადუმდა უბანი. ეზოებში ჩანდნენ მხოლოდ შავებში  
შოსილი ახალგაზრდა ქვრივები.

\*  
\* \*

რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მოვინახულე სამშობლო კუთხე.

ერთ მზიან დღეს სოფელში სახეტიალოდ გავედი.

ბევრი რამ, რასაც გარშემო ვხედავდი, ჩემს შორეულ წარსულსაც მაგონებდა. აი, ის ძელქვა, რომლის ძირში ბავშვმა ერთხელ წვიმის დროს თავი შევაფარე. სულ ისეთია, როგორიც თდესლაც მინახავს, მაღალი და ტოტებგაშლილი. წლებს თდნავადაც არ შეუცვლია. აი, ნამეხარი ბებერი ჭადარი, რომლის ტანი ძველადაც ფუღუროდ იყო ქცეული. დრო იყო, აქამდისაც წაქცეულიყო, მაგრამ ის ჯიუტად ჩაბდაუჭებოდა მიწიდან ამოკლაკნილ დიდ ფეხვებს და ძირში ორიოდე მწვანე მორჩიც მოუსხამს. გზაჯვარედინთან ძველი ტყე გაუკაფავთ, მაგრამ ამოყრილიყო და მწვანედ ბიბინებდა...

გზას გავყევი და იმ ადგილს ჩავუარე, სადაც აბესაძეების უბანი იყო. ეზოებში სიჩუმეა, არავინ ჩანს. სახურავების თავზე კვამლი ამოდის და მაღლა ეთერში ზანტად მიიწევს. საჩრდილობელი ბჟოლის ხის ქვეშ გათლილი ქვა იდო... სევდიანად გადავავლე თვალი უბანს და გავშორდი.

მივყევი ორლობეს და მალე წყაროს მივუახლოვდი.

შორიაბლოდან ჯერ ბავშვების ხმა მომესმა და მერე თვითონ ისინიც დავინახე. ხუთი დავთვალე — ჯირკუტანა, ტალიკი ბიჭები იყვნენ. ერთ-მანეთს წყალს ასხურებდნენ, ხარხარებდნენ და გაწუმბულნი დახტოდნენ წყაროს ირგვლივ. თამაშობით გული იჯერეს თუ არა, აავსეს თუნგულები, გაიბატრნენ ბატის ჭუკებივით და წამოტყაპუნდნენ.

რაღაც უნაზესმა მოგონებამ გაიღვიძა ჩემში უეცრად, გადავუდექ მათ გზაზე და ისე ჩუმად, თითქოს მეშინოდა, ვკითხე:

— ვინ ხართ, ვისი ხართ, ბიჭებო?

გაკვირვებით შემომხედეს უცხოს და ერთმა, რომელიც სხვებზე უფრო თამაში ჩანდა, პასუხი არ დააყოვნა:

— აბესაძეები ვართ, ეგერ, იმ უბნიდან!

კიდევ ერთხელ შემავლეს თვალი და გაიბაწრნენ დუმილით. როცა  
ისინი მოსახრელთან მივიდნენ, ვეღარ მოვითმინე და ხმა დავაწიე:  
— ეჭეი, ჭინკა-ბიჭებო, ეჭეი!  
შეჩერდნენ, გაოცებით შემომხედეს, უცბადვე შეტრიალდნენ, აირივნენ  
და მხიარული ყიჟინით მოკურცხლეს.

მოწყურებული ხარბად დავეწაფე წყაროს და ისევ იმ გზით გამოვ-  
ბრუნდი. ბროწეულის ყვავილების ცეცხლი მოსდებოდა ორდობებს.  
გადამწიფებული ალუჩა მოწითალო მტევნებად უკიდა ტოტებზე და იქ,  
სადაც ნაყოფი მიწაზე დაცვენილიყო, მაჭრის მსგავსი ტკბილი სურნელი  
იღდა. ჩემს ახლო შაშვი ავარდა ბუჩქიდან და ჭახჭახით გადმოიარა.  
გარშემო ჭიჭინების დაუცხრომელი საგალობელი ისმოდა. მზე დაღვრი-  
ლიყო მთელ გარემოზე.



## ო რ ბ ი

ვისაც საქართველოს მთიან ადგილებში თუნდაც რამდენიმე დღე უცხოვრია, მას სამუდამოდ ჩარჩება ხსოვნაში იქ გატარებული დრო.

წარმტაცია ჩვენი ქვეყნის ბუნება ამ მხარეში, მაგრამ უფრო მეტად აქ შობილი და გაზრდილი ადამიანები მხიბლავენ. ამ კუთხის ნამდვილ სამკაულს ისინი წარმოადგენენ. რაინდული სული, კეთილშობილება და სხვა მრავალი კეთილი თვისება ახასიათებს მათ. როცა შენ სვანის სტუმარი ხარ და მისი მაჩუბის ჭერქვეშ ითენებ და იღამებ, მშვიდი ძილი გქონდეს, დარწმუნებული იყავი, რომ მთელი ოჯახის გული და თვალი შენკენაა მომართული და რომ ყველას ერთი საზრუნავი აქვს: როგორმე გასიამოვნოს.

ერთ ზაფხულს ჩემს მეგობარს ეგნატე გუბლიანს ვესტუმრე ზემო სვანეთში. ჩემი მასპინძელი ღინჯი, გონებამახვილი, საამოდ მოსაუბრე შუახენის კაცი, რომელსაც ბევრი რამ გადახდენია თავის სიცოცხლეში, განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა აქაურებში. მას სულ არ ჰქონდა მოცალეობა. მაგრამ, როცა თავისი სახლის ჭერქვეშ სტუმარი მიგულა, ყოველნაირად შეეცადა გავერთე.

ერთხელ ეგნატემ სანადიროდ წასვლა შემომთავაზა:

— თუ კლდეებზე სიარულს შეიძლებ, ჯიხვზე წავიდეთ, თუ არა და, დათვი მოვინადიროთ. ეს ტყე არც ისე შორსაა. ახლა იქ უოლო დამწიფებდა, დათვები მას ეტანებიან და მხოლოდ ჩვენს სიმარჯვეზეა დამოკიდებული; რამდენს დაგხოცავთ!

უმაღლე შეუდგა თადარიგს, რამდენიმე გამოცდილი მონადირეც მოიწვია და ერთ ცისკარზე, ჯერ კიდევ ბინდ-ბუნდში გზას გავუდექით.

ჩვენი წინამძღოლი და მეთაური იყო ეგნატეს მეზობელი ბიმურზა, უკვე ჭალარა კაცი, მაგრამ საოცრად მხნე და შეუპოვარი. მისი მაჩუბის ჭედლებს ბლომად ჰქონდა შემოვლებული მოკლული ჯიხვების რქები და ასეთი გამოცდილი მონადირე რომ გვახლდა, დარწმუნებული ვიყავი, გამარჯვებული დავბრუნდებოდით.

ნაშაუადლევი იყო, როცა სანადირო მთასთან მივედით. ყველაზე უფრო ალბათ მე ვდელავდი და თანაც წინასწარ ვტკბებოდი იმ სიამოვნებით, რომელიც აქ მომელოდა.

მაგრამ რა სანმოკლე აღმოჩნდა ეს სიხარული!

აღარსად იყო შეგულებული ტყე, აღარც უოლოს ბუჩქები. მოტიტვლებული ქვიანი ხრიოკი, მეტი არაფერი.

ყველა გაოცებით იხედებოდა გარშემო, მათ თვალებში განცვიფრებასთან ერთად გულისწყრომა და დანაღვლიანება ამოვიკითხე.

— არა, ამის მეტად სანადიროდ წამსვლელი აღარ გარ, — ხელი ჩიაქნია ეგნატემ. — დათვი და ჯიხვი კი არა, მალე ჩიტიც სანატრელი გვახდება ჩვენში. მაშ რა იქნება, როცა ასე დაუნდობლად იჩეხება ტყეები! წყალმა ლამის სულ ერთიანად ჩამორეცხოს მთიდან მიწა და ბალახიც ფეხს ვეღარსად მოიკიდებს. ჯიხვს, მართალია, კლდოვანი უყვარს, მაგრამ ქვით კი არ საზრდოობს. წავიდა ჩვენი მთებიდან ნადირი... იქნება დარჩა სადმე თითო-ოროლა, მაგრამ მალე ისიც გადაიხვეწება...

სხვა გზა არ იყო, დაბრუნება გადავწყვიტეთ. ასე ფუჭად ჩაგვიარა იმედმა.

სმაგაკმენდილი მივდიოდით უკან. ერთ ადგილას კვერნამ გადაგვირბინა, მაგრამ ფიქრადაც არავის მოსვლია, მისთვის თოფი ესროლა. დათვის და ჯიხვის მაგიურ რომ სოფელში კვერნა მიგვეტანა, სიცილს დაგვაყრიდნენ.

მზე იხრებოდა და ჩვენი საზრუნავი ახლა მხოლოდ ის იყო, რომ ერთი საშიში ციცაბო, რომელიც შუა გზაზე გვხვდებოდა, სინათლით გაგვევლო.

კლდოვანი მთა რომ გადავიარეთ, შორს, გორაკის ძირში, ლახდად გამოჩნდა სოფელი — სვეტების მსგავსად ამართული კოშკები და თეთრად შელესილი მაჩუბები. გულზე მომეშვა, მაგრამ რატომდაც მაშინვე დაღლილობა ვიგრძენი.

— ახლა ცოტა ხნით დასვენებაც შეიძლება, — მივმართე თანამგზავრებს და მიწაზე მოვიკალათე.

გავცემეროდი გარემოს და იქაურობის სილამაზით ვტკბებოდი. ვერავინ ვერასოდეს ბოლომდე ვერ იტყვის იმ სიდიადეს, რომელიც პირველყოფილ ბუნებას აქვს... სჯობს უთქმელად უცქირო ამაყად აზიდულ მწვერვალებს, უფსკრულში დაქანებულ ჩქერალებს, მთების თავზე გადმოხურულ ცას, მის ფერსა და სიწმინდეს!

ფრთების ძლიერმა ფართქუნმა უეცრად შეწყვიტა ჩემი გარინდება. თვალი მოვკარი მიწაზე გადარბენილ ლანდს და, როცა თავი ბეჭის, აფრენილი ორბი დავინახე. რამდენიმეჯერ შემოუარა მან ორ მთას შუა ჩიჩებილ ნაპრალს და შემდეგ სადღაც გადაიკარგა.

იმავე წუთში შორიახლოდან რაღაც წრიპინი მომესმა და მოულოდნელად მახლობელ კლდის ნიშში ორბის ბუდე შევნიშნე.

თვალით გავზომე ნიშის სიმაღლე. გავითვალისწინე მოსალოდნელი სიძნელე და, როცა ვეღარ დავძლიე სურვილი, იმ ადგილს მივაშურე.

— რას ჩადი, დაბრუნდი! — მომესმა ეგნატეს ხმა.

ბევრს მექახდნენ დანარჩენებიც, მაგრამ ყურს არავის ვუგდებდი. ზიშის ძირში ველური ყვავილებით დაფარული, პატარა სწორი ადგილი თყო, სულ სამიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა. ბუნებას თითქოს შეცდომით დაეტოვებია ეს კიკნა ვაკე ამ მიუვალ სიპიანზე, რომლის თავზე ორბს ზინა გაეჩინა.

როგორც იქნა ავცოცდი და ბუდეს თავზე წავადექი. შიგ ორი ბარტყი იყო. ჩემს დანახვაზე ორივემ დააღო თავისი მოყვითალო ნისკარტი, მაგრამ, როცა მათ ხელით შევეხე, ერთმანეთს მიეკვრნენ და ბუდის სიღრმეში ჩამალვა სცადეს.

— ხელი არ ახლო, არ გადმოსხა! — წყრომით შემომძახეს მონადი-რეებმა.

იმავე წუთში დაგინახე, როგორ გადაუფრინა ორბმა კლდის წვერს. ბარტყებს ხელი შევუშვი და თვალი გავაყოლე უზარმაზარ ფრინველს, რომელიც თავზე დამტრიალებდა. ცხადია, ის დედა-ორბი იყო. მაგრა რამდენიმეჯერ დამიარა თავი და ისევ მიიმაღა.

გადმოვსხი ბარტყები და ფრთხილად ჩამოვედი კიკნა ვაკეზე.

— აბა, რად იგდებ თავს საფრთხეში! — ამომძახა ეგნატემ. — შესხი ბუდეში და ჩამოდი ახლავე!

გამელიმა მეგობრის ამგვარ გაფრთხილებაზე. რა უნდა ექნა ჩემთვის ფრინველს, თუნდაც ისეთს, როგორიც ორბია!

ბარტყები თოთო იყვნენ. პირველი ბუმბული ჯერ კიდევ არ მოსცილებოდათ, მაგრამ ნისკარტით და თვალების ელვარებით უკვე შეიძლებოდა. იმის გაგება, რომ სულ მალე ისინი საშიშ მტაცებლად გადაიქცეოდნენ.

ქვევით ჩამოსვლა რომ არ გამჭირვებოდა, დავაპირე უბეში ჩამესვა ბარტყები. უცბად ისევ დედა-ორბი დავინახე. მას თან მოჰყვებოდა მეორე, უფრო მოზრდილი.

— დააგდე ეგ ოხრები, გაეცალე მანდაურობას! — ძლიერი ხმით მომაყვირა ერთმა მონადირემ.

სანამ გაუნძრევლად ვიდექი და თვალს ვადევნებდი, ორბები გარშემო წრეს ავლებდნენ, მაგრამ, როგორც კი ნაბიჯი გადავდგი, მამალი ორბი უეცრად ჩემკენ დაეშვა და ისე ახლო ჩამიქროლა, რომ ჰაერის შერხევა ვიგრძნი.

ფრინველი უცბადვე აღმა / აიჭრა, დამიარა თავი და ეტყობოდა. ისევ თავდასხმას აპირებდა, როცა ქვემოდან თოფის სროლის ხმა გაისმა.

ორბი მოწყვეტით დავარდა ჩემს გვერდით კიკნა ვაკეზე. მან უმალვე ძალა მოიკრიბა, აფრენა სცადა, მაგრამ მხოლოდ ცალი ფრთის გაშლა. შეძლო, მეორეს მიწაზე მიითრევდა და სისხლი სდიოდა. შემომცეკეროდა. მრისხანე, სისხლისფერი თვალებით. მოტეხილი ფრთით ხვეტავდა მიწას, აღებდა პირს და გააფთრებული ჩემს საკორტნელად მოიწევდა.

კლდეს მიკრული, ფეხით ვიგერიებდი თავგამეტებულ ფრინველს. ბოლოს, გადავისროლე მისკენ ბარტყები და, როგორც კი წუთი ვიხელთე, ნიშიდან სასწრაფოდ ჩამოვცოდი.

— კიდევ კარგი, აგრე უგნებლად დააღწიე თავი, — მითხა ეგნატემ, როცა სამშვიდობოში ჩამოვედი.

ჩემს კეთილ მასპინძელს მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ ვგრძნობ-  
დი, უკმაყოფილო იყო. მრცხვენოდა მისი და ჩემს თავზე ვჯავრობდი, რომ  
ასე უნებურად ვაწყენინე.

მღუმარედ გავყევი თანამგზავრებს. როცა უკან მოვიხედე, დავინახუ  
— დედალი ორბი ნიშის თავს სულ ახლო დასტრიალებდა. შორიდან მისი  
სევდიანი ყორყოტიც გავიგონე.



## ჭურია

ჩემმა ძველმა მეგობარმა ალექსანდრე მუხრანელმა, ცნობილმა მეტყევემ, რომელიც სამამულო ომის დროს მაიორი იყო და ერთ ხანს კავკასიონის მთებშიც ებრძოდა შემოსეულ მტერს, ამას წინათ ზღვისპირა რაიონი შორიარა და იქიდან დაბრუნებულმა უმაღვე მინახულა. ყოველთვის ყურადღებით ვუსმენდი მეგობარს, როცა ჩვენს ტყეებზე სიტყვას. ჩამოაგდებდა. ბუნებისადმი მისი სიყვარული იმდენად თავისებურია, რომ დარწმუნებული ვარ, რაღაც ცოცხალ არსებად მიაჩნია იგი. ველოდი, ახლაც ტყეებზე მიამბობდა რაიმეს, მაგრამ ამჯერად მისგან სულ სხვა რამ გავიგონებ.

აი, ის ამბავიც:

— სოხუმის ჩრდილოეთით, მთებში, სადაც კავკასიონის ქედი შავი ზღვის ნაპირს უმეზობლდება, მაღალ ტაფობზე, ერთი სოფელია. ორმოციოდე სახლი, ისეთი, როგორსაც ჩვეულებრივად მთიან საქართველოში იშენებენ, ერთმანეთისაგან შორიახლოს დგას. ვინც პირველად იმ სოფელს თვალს შეავლებს, აღბათ ეცნაურება, რატომ განმარტოებულან ადამიანე-

ბი, რად აცოცებულან იმ სიმაღლეზე, როცა დაბლობში საკმაოდ არის  
დაუსახლებელი გაკე ადგილი? მხოლოდ ქორმა იცის ასეთ მიუვალ  
ადგილებში ბუდის ჩადება.

ის სოფელი ძველად არის გაშენებული. იქნებ მაშინ ხაშმიან დაბლობს  
გაექცა ადამიანი, ან იქნებ მტრის შემოსევისაგან თავის დასაცავად აირჩია  
ძნელად მისაგნები, თითქმის უჩინარი გუთხე.

თუმცა სოფელი ძალიან მაღალზეა და თოვლიანი მწვერვალები არც  
თუ ისე შორსაა, პატა იქ მაინც რბილია. როცა უდრუბლო დღეა, ზევიდან  
გარკვევით ჩანს ფირუზისფერი გრძელი ზოლი, — ეს შავი ზღვის ნაპირია.

სოფელს არტყია ტყე, სადაც გარეული თხილი, პანტა, მაყვლის ბარ-  
დები, ათასგვარი ველური ყვავილი ერთმანეთში არეულა.

ჩემი ნაწილი იმ სოფლის ახლო ხევში იყო დაბანაკებული. ეს ადგი-  
ლი უკანასკნელი საზღვარი იყო, რომლის იქით კავკასიონის ქედის ვიწ-  
როებში შემოჭრილი მტერი იდგა.

თუმცა მტრის ჯარი ახლო იყო, მაგრამ მოსახლენი მაინც არ გახიზნუ-  
ლან და არა თუ არ ერიდებოდნენ იქაურობას, პირიქით, მზად იყვნენ და-  
გვმმარებოდნენ, რითაც კი შეძლებდნენ.

მათ შორის მრავალი მეგობარი შევიძინეთ. განსაკუთრებით დავუახ-  
ლოვდი ერთ ოჯახს, რომელიც სოფლის ბოლოში სახლობდა. იმ ოჯახის  
უფროსი იყო ჭაღარაშერეული, ოდნავ კუშტი გამომეტყველების საშუა-  
ლო ტანის პირხმელი მამაკაცი ოტია ესებუა. გაიცნობდით თუ არა,  
უმაღვე მისდამი პატივისცემის გრძნობა დაგებადებოდათ. დინჯი საუბარი  
იცოდა, სიტყვას დაკვირვებით ამბობდა, მოძრაობა აუჩქარებელი ჰქონდა,  
მაგრამ ამავე დროს იგრძნობდით, რომ საჭირო წუთში მეტად სწრაფი  
და დაუცხრომელი იქნებოდა.

ოტიას კარგი სახელი ჸქონდა კოლმეურნეობაში, როგორც გამოცდილ  
ცხენმომშენებელს. ამავე დროს განთქმული მონადირეც იყო. სახლის  
გარეკედელზე ჯიხვების რქები ჸქონდა მიჭედილი, ხოლო ოთახი დათვის  
ტყავებით მოეფინა.

ოტიას ცოლი ფელიკო მშვიდი და ალერსიანი ქალი იყო. ისეთი გულ-  
ქეთილი ღიმილით იცოდა შეგებება, რომ ადამიანს გულს გუნათებდა.

სანდომიანი სახე ჰქონდა და ეტყობოდა, რომ ქალიშვილობაში ქალიან  
ლამაზი უნდა ყოფილიყო.

ერთი შვილი პყავდათ ესებუებს, — ცამეტი თუ თოთხმეტი წლის  
ზურაბი, რომელსაც შინაურობაში ზურიას ეძახდნენ. ბიჭი საოცრად პგავ-  
და მამას. ისეთივე წაბლისფერი თვალები და ქერა თმა, ისეთივე ცხვირი,  
რომელზედაც უკვე შეინიშნებოდა ოტიას კაუჭი. ლაპარაკიც იმგვარივე  
იცოდა, — აუჩქარებელი, დინჯი, თითქოს სწონისო თვითეულ სიტყვას.  
უნებურად გაიღიმებდა კაცი, როცა ოტიას იმ პატარა ორეულს დაინახავდა.

მამა და შვილი ერთმანეთთან დამეგობრებულნი იყვნენ. ოტია  
ალერსით არ ანებივრებდა ვაჟს, თუმცა ძლიერ უყვარდა. მშობლები  
უყურებდნენ პატარა ზურიას, როგორც ოჯახის მომავალ პატრონს, სკოლა-  
ში ასწავლიდნენ და სოფლად საჭირო საქმესაც აჩვევდნენ. ოტიას არა-  
ერთხელ სანადიროდაც წაუყვანია შვილი და ნადირობის წესები გაუცვია.

ეს პატარა ოჯახი ომის პირობებშიც არ იშლიდა თავის ჩვეულებას.  
ეს ჩვეულება კი ჩვენებურ გლეხს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი და თაობი-  
დან თაობაში გადადის. თქვენ იცით, როგორია ჩვენებური გლეხი, —  
სტუმართმოყვარე, პურადი, თავისი ქვეყნის მოტრფიალე, მოკეთისათვის  
თავდადებული და სხვა მრავალი კეთილი თვისებით შემკული.

ფელიკო და ოტია, რაკი ერთხელვე დამიმეგობრდნენ, თავისთავს ვალ-  
დებულად თვლიდნენ ჩემდამი ყურადღება გამოეჩინათ. ერთხელ, ნაშუად-  
ღვეს, ოტია სრულიად მოულოდნელად ჩემთან გაჩნდა სანგარში. „რამდე-  
ნიმე დღეა შენი არაფერი ვიცოდით და ამბის გასაგებად მოვედიო“, —  
მითხრა მან.

იმ ადგილებში დღით გამოჩენა სიკვდილთან თამაშს უდრიდა. მტერს  
ისეთი ადგილი ეჭირა, რომ არაფერი არ დარჩებოდა შეუმჩნეველი.  
მტრის ტყვია არ ასცდებოდა, ვინც გამოჩენას გაბედავდა. ოტია  
კი უგნებლად მოდიოდა და მიღიოდა. ამ გარემოებამ ის აზრი დამიბადა,  
რომ მან, ძველმა მონადირემ, საიდუმლო და უჩინარი ბილიკები იცოდა.  
ასეთ კაცს ჩვენთვის დახმარების გაწევა შეეძლო, თუ ამის საჭიროება  
დადგებოდა.

მუდამ იმის მოლოდინში ვიყავით, რომ მტერი დღეს თუ ხვალ შეეც-  
დებოდა გადმოელახა ზღუდე და ჩვენზე იერიში მოეტანა. ველოდით ამას  
და ფხიზლად ვიყავით. მთელ ჩემს ნაწილს ერთსულოვნად გადაწყვეტი-

ლი პქონდა თავი გაეწირა, ოღონდ კი მოწინააღმდეგისათვის წინ წამოწევ-  
ვის საშუალება არ მიეცა.

რამდენიმე ხანი უმოქმედოდ ვიდექით ჩვენც და მოპირდაპირენიც.

ჩვენს წინაშე მალე ასეთი ამოცანა დადგა: არა მხოლოდ თავდაცვა,  
არამედ მტრის გარემოცვა და მოსპობა. სარდლობის ამ დავალებას მხოლოდ  
იმ შემთხვევაში შევასრულებდით, თუ ორივე მხრიდან შემოვულიდით  
მაღლობზე გამაგრებულ მოწინააღმდეგეს და მის ზურგში ერთ მაღალ,  
თითქმის ტიტველ მთას დაიკიკავებდით.

კარგად ვიცოდი ჩემი მებრძოლების ამბავი. დარწმუნებული ვიყავი  
მათ სიმამაცეში, მაგრამ ვშიშობდი, რომ ბევრს დავღუპავდი, თუ ამ  
ადგილების მცოდნე გამყოლებს არ მოვიშველიერდი.

უცებ ოტია ესებუა მომაგონდა.

— აი, ვინ გამომადგება ამ საქმეში! — ვუთხარი ჩემს თავს. —  
ოტია სხვა საიმედო გამყოლსაც გამომინახავს!

დადგა ის დღე, როცა სარდლობის ბრძანებით მტერზე იერიში უნდა  
მიგვეტანა.

ჩვენ ვემზადებოდით, მაგრამ არც მოპირდაპირე იყო გულხელდაკრე-  
ფილი. თითქოს იგრძნოო ჩვენი განზრახვა, თვითონაც ამოძრავდა. მტრის  
თვითმფრინავები იმ დღეს ჩვეულებრივზე უფრო ხშირად თავს დაგვტრია-  
ლებდნენ, გვზვერავდნენ და ხანდახან ალალბედზე ხევში ყუმბარებს  
ყრიდნენ. სოფელზედაც გაინაგარდეს რამდენიმეჯერ და იქაც ყუმბარები  
ჩამოყარეს. სოფლის მხრიდან ნაშუადღევს კვამლიც დავინახე. ალბათ  
რაღაცას დასცემოდა ყუმბარა და ცეცხლი მოჰკიდებოდა.

შებინდდა თუ არა, სოფელს მივაშურე. ოტია უნდა მენახა და მისი  
დახმარებით ბილიკების მცოდნენი შემერჩია.

სოფელს რომ მივაღწიე, უკვე ბნელოდა. ოტიას სახლისკენ წავედი,  
მაგრამ იქ მხოლოდ ცარიელი აღგილი დამსვდა. მიმოვისედე, თითქოს  
ნაცნობი ეზო იყო, მაგრამ სახლი კი მაინც არ ჩანდა. აი, ის კაკლის  
ხე, აი, ის ერთმანეთზე გადაგრეხილი ორი ნაძვი... მაგრამ თვითონ სახლი  
სადღაა?

გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და ყველაფერი ნათელი გახდა ჩემ-

თვის... ოტიას სახლი ცეცხლს შთავნთქა. გარშემო ფერფლი ეყარა და  
აქა-იქ კვამლი ბოლავდა.

შორიახლოს ვიღაც მამაკაცს მოვკარი თვალი და მისკენ წავედი.

— რა მოხდა აქ? — გვითხე გაოცებულმა, — სად არის ოტია?

მამაკაცმა შემდეგი მიამბო: — მტრის თვითმფრინავმა დილით ყუმ-  
ბარები ჩამოყარა სოფელში და რამდენიმე სახლი დაიწვა. ერთ სახლ-  
ში, რომელსაც ცეცხლი მოედო, ავადმყოფი იწვა. მისი გამოყვანის იმე-  
დი აღარავის პერნდა. ოთახიდან სასოწარკვეთილი ხმა ისმოდა, მაგრამ  
მიშველებას ვერავინ ბედავდა. უეცრად იქ ოტია გაჩნდა. აღში გახვეული  
თავისი სახლისთვის რომ ვეღარ ეშველა, მეზობლის დასახმარებლად  
გამოქცეულიყო. ოტია შევარდა ავადმყოფთან და მალე ზურგით გამო-  
იყვანა ის, მაგრამ გარეთ გამოვიდა თუ არა, უკრძნობლად მიწაზე დავარდა.  
სახე და ხელები დამწვარი პერნდა. მეზობლებმა იმავე წუთში საკაცე  
გაამჟადეს, ზედ დააწვინეს და სოფლის საავადმყოფოში წაიყვანეს. ოტიას  
ცოლმა და შვილმა კი აი, იქ შეაფარეს თავი, — მითხრა ბოლოს და ერთ-  
შენობაზე მიმითითა.

წავედი იქითკენ, შევაღე სახლის კარები და შევედი. დიდ ოთახში  
თავი მოეყარათ დედაკაცებს. ისინი მწუხარებას მოეცვა და მდუმარედ  
ისხდნენ. მათ შორის ფელიკოც იყო. დამინახა თუ არა, მძიმედ წამოდგა,  
ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა, შეეცადა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოზღვავებულმა  
მწუხარებამ და ცრემლებმა ხმის ამოღება არ აცალეს.

მალე მისი ზურიაც დავინახე. ის კუთხეში მოკრუნჩხულიყო. ჩუმად,  
უძრავად იჯდა, ეტყობოდა, მწარე ფიქრს შეეპყრო. მწუხარებასთან ერთად  
თვალებში ბრაზი და გაბოროტება უელავდა.

სახლში სიჩუმე იყო. გარეთაც არაფერი არ არღვევდა საღამოს  
მყუდროებას. მხოლოდ ერთხელ, ისიც წუთით, თვითმფრინავის შორეული  
ზუზუნი მომესმა.

დიდხანს დარჩენის საშუალება არ მქონდა. როგორადაც შემეძლო,  
გავამხნევე ფელიკო და ჩემთვის საჭირო სოფლელების თავმოყრას შევუ-  
დექი. ეს საქმე მალე მოვაგვარე. ამორჩულ კაცებს დავავალე, საჩქაროდ  
ჩემთან ნაწილში მოსულიყვნენ, და უკანვე გავსწიო.

დაბრუნებისას დავიარე ჩემი ნაწილის ყველა საფარი და კიდევ  
ერთხელ განვუმარტე მებრძოლებს, თუ როგორ ემოქმედნათ.

ამასობაში სოფლიდანაც მოვიდნენ.

— ყველა გამოცხადდა? — ვიკითხე მე.

— ყველა! — ხალისიანად შემქმიანა ერთი შუახნის კოლმეურნე. — მგონი, მეტიც ვართ... ოტიას ბიჭიც კი წამოვიდა. არ გვინდოდა მისი წამოყვანა, მაგრამ არ მოგვშორდა.

— სადაა ზურაბი? — ვიკითხე მე, როცა მათ შორის ვერ დავინახე, — ახლავე მიპოვეთ!

ის საფარში დარჩენილიყო ნაცნობ არმიელებთან.

— შენ, რა თქმა უნდა, ყოჩაბი ბიჭი ხარ, რომ მამის მაგივრობა გინდა გასწიო, — ვუთხარი ზურაბს, როცა მომიყვანეს, — მაგრამ მაინც ახლავე უნდა დატოვო აქაურობა და სოფელში დაბრუნდე!

ზურაბმა უკმაყოფილოდ შემომხედა.

— დედაშენი მარტოა, მას ისედაც დიდი მწუხარება დაატყდა თავს და მოვალე ხარ მასთან იყო. წადი!

ზურაბი თავდახრილი იდგა.

— გარდა ამისა, — თავზე ხელი გადავუსვი და ალერსიანად ქოჩორი ავუშალე, — ბავშვის ადგილი აქ არა. განა არ იცი, რა საშიშროება გელის?

ისევ ჯიუტად, ხმაამოუღებლად იდგა.

— გესმის, რა გითხარი? — უკვე წყვრომით მიგმართე მისი ურჩობით ნაწყენმა.

მხოლოდ მაშინ ასწია თავი და ჩაილაპარაკა:

— დამტოვე, მამა მადლობასაც გეტყვის შემდეგ.

— შენ დაბრუნდები ახლავე! — უკვე გულმოსულმა მიგაძახე, — გიბრძანებ!

ვეღარ გამიბედა სიტყვის შემობრუნება, შეტრიალდა და ნელი ნაბიჯით გამშორდა. გავაყოლე თვალი და უნებურად ისევ ოტია მომაგონდა. ეს პატარა ბიჭი სულ მამასავით დადიოდა, მოაბიჯებდა ოდნავი ქანაობით, მხრებაწეული, აუჩქარებლად.

— ზურია! — დავაწიე ხმა და, როცა შემობრუნდა, ალერსიანად გადავძახე: — იმედი მაქვს, მალე შევხვდებით ერთმანეთს და მაშინ ერთად წავიდეთ მამაშენის სანახავად!

არაფერი მისასუხა, მსოლოდ წუთით შეჩერდა და, რომ დარწმუნდა, მეტის თქმას აღარ ვაპირებდი, განაგრძო გზა. ვგრძნობდი, გულებულის მშორდებოდა.

შემოდგომის წყნარი ღამე იყო, უღრუბლო ცა უთვალავი ვარსკვლავით იყო მოჭედილი. როგორც ამ დროს ბუნებას წესად აქვს, ვარსკვლავები ხშირად სწყლებოდნენ ცას, გადაირბენდნენ, წუთით ნათელ კვალს დატოვებდნენ, შემდეგ ქრებოდნენ და სამუდამოდ იკარგებოდნენ უსაზღვრო სივრცეში.

ღამის სიბნელეს თვალი შეჩევული მქონდა. გარკვევით ვხედავდი იმ მთას, რომელიც უნდა გაგვეთავისუფლებინა. ისედაც მაღალი მწერებალი ღამეში კიდევ უფრო მაღალი და პირქუში ჩანდა. მრავალი საშიში ადგილი უნდა გაგვევლო, სანამ მას მიგაღწევდით. მკაცრი და დაუნდობელია მთის ბუნება, კლდეებში ყოველ ნაბიჯზე კაცს საფრთხე ელის, მაგრამ ასლა უფრო ბოროტი მტერი თვითონ ადამიანი იყო, რომელიც მთის კალთებზე იდგა იარაღით ხელში.

დანიშნულ საათზე ჩემი ნაწილი იმ მთისკენ დაიძრა.

სულდგმულის ხმა არსად ისმოდა. ბუნებაც გაყუჩებულიყო, მსოლოდ სანდახან ადამიანის ფეხით გარყეული ქვა მოსწყლებოდა ადგილს და ხმაურით უფსკრულში დაგორდებოდა.

გადავიარეთ თუ არა ჩქარი პატარა მდინარე, ნაწილი ჯგუფებად დაყყავი, თვითეულს ბილიკების მცოდნე გავაყოლე და ვბრძანე: როგორც კი ჩვენი მხრიდან სროლას გაიგონებდნენ, ყველანი ადგილიდან ერთმაშად იერიშზე გადასულიყვნენ.

განთიადი ახლოვდებოდა. შეფერმერთალდნენ ვარსკვლავები და შემდეგ წელი-წელ ქრობა იწყეს. გარემომ ფერი იცვალა, უფრო გარკვევით გამოჩნდნენ მთები და თითქოს პარმაც გაიღვიძაო, სიო დაიძრა და ხეთა წევეროები შეარჩია.

ფრთხილად მიიწევდნენ მებრძოლები. თვალს ვადევნებდი ნაწილის მოძრაობას და იმედიანად ვიყავი. ფერდობის შუაგულს მე მივყვებოდი. მარჯვნივ მეორე ჯგუფი ციცაბოზე მიფოფხავდა. მარცხენა მხრით მიმაგალმა ჯგუფმა სწრაფად აიარა ერთი შვეული ადგილი და უფსკრულის თავზე ბილიკს გაჰყვა. ეს იყო ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე ღრმად უნდა

შეჭრილიყო მტრის ზურგში. ჩემი ყურადღება წუთით მიიბყრო ვიღაც  
პატარა ტანის კაცმა, რომელიც ჯგუფში შევნიშნე. შორიდან ბავშვები უფრო  
ჰგავდა. თვალი გავაყოლე, მივაცერდი, მაგრამ მან ქურციკივით გირჩნდა  
ბილიკი და მალე სხვებთან ერთად კლდეს მიეჭარა.

როგორც წინასწარ გამიზნული გვერდი, შევჩერდი იმ ადგილთან,  
სადაც პატარა ტაფობი იწყებოდა. გარშემო ისევ სიჩუმეა. მებრძოლებს  
თვალი შევავლე. მათ სახეებზე სიმტკიცე და გამბედაობა ისახებოდა.  
მჯეროდა, რომ ისინი არ შედრებოდნენ.

მზის პირველი სხივი ავარდა ცაში, ვარდისფრად შეღება მწვერვა-  
ლის თავზე დამენათევი ღრუბლის ნაფლეთი და თითქმის იმავე ღროს  
სროლა და ყიუინა გაისმა.

ჭვემეხების ჭექა-ქუხილისაგან მთები ირყევიანო, გეგონებოდათ. ცა  
და მიწა ჯოჯოხეთურ ცეცხლში გაეხვია. არა ერთხელ ხელდახელ შებმაც  
დაგვჭირდა. მთელი დღე-დამე გაგრძელდა ბრძოლა. მხოლოდ მეორე დი-  
ლით დაყარა მტერმა იარაღი და ყველა მაღლობზე ჩვენი ალაში აური-  
ალდა.

დავიარე ჩემი ნაწილი და ბოლოს მივედი იმ ჯგუფთან, რომელსაც  
მძიმე და სახიფათო დავალება ჰქონდა: ჩრდილოეთის მხრიდან შემოევლო  
მთისთვის და მტერს იქიდან დასხმოდა. რა სიხარულით შევხვდით ერთმა-  
ნეთს მე და ჩემი მებრძოლები! როგორც საყვარელ ძმებს და შვილებს, ისე  
ვეზვეოდი მათ.

უეცრად დავინახე, რომ ხის ძირში ვიღაც იწვა მაზარაში გახვეული.  
ვიფიქრე, უბედურება ეწია-მეთქი და შემკრთალი მივაჩერდი. ერთმა კა-  
რისიგაცმა შემამჩნია, რომ შევშინდი და ღიმილით მითხრა:

- სძინავს, ამხანავო მაიორო... დაიღალა საწყალი ბიჭი...
- ვინ ბიჭი?! — ვიგითხე გაოცებულმა.
- აი, ის პატარა, თქვენ რომ ბილიკების მაჩვენებლად დაგინიშ-  
ნავთ მთავარ გამყოლთან ერთად...

მაშინვე მივხვდი, ვინც იქნებოდა. ერთი წუთით გავზრაზდი კიდე-  
ვაც, მაგრამ რაღა დროს იყო...

- აი, შე ეშმაკო, შენა! — ჩავილაპარაკე და უნებურად გამეღი-  
მა. — ხედავთ, როგორ მომატყუა?

დავიხარე და მაზარის კალთა ფრთხილად გადავხადე თავზე. რა  
თქმა უნდა, ზურაბი იყო. ლოყა სელისგულზე დაედო და, როგორც მარტინ შევებს სჩვევიათ, ღრმად და მშვიდად ეძინა.

— ძალიან დაიქმნება, — ალერსიანად დაპურებდა ჯარისკაცი. —  
კარგი სამსახური კი გავვიწია... ისეთი ბილიკები სცოლნია, რომ...

თავი ვერ შევიკავე, დავიხარე და ვაკოცე.

იმავე დღეს ზურაბს შტაბში გამოვუძახე. მაგრამ ორჯერ დამჭირდა  
კაცის გაგზავნა მის მოსაყვანად: მერიდებოდა და არ მოდიოდა.

— მადლობას გიცხადებ! — ვუთხარი ზურიას. — მამაცობისათვის  
შენ ჯილდოს ღირსი ხარ, მაგრამ...

ბიჭმა იგრძნო, რომ მის დატუქსებას ვაპირებდი და თავი დახარა.

— რატომ არ შეასრულე ჩემი ბრძანება? მე ხომ გითხარი, რომ შინ  
დაბრუნებულიყავი? იცი თუ არა, რომ ვინც ურჩობას გასწევს, სასტიკად  
უნდა დაისაჯოს?

ზურიამ უფრო დაბლა დახარა თავი.

— დაუყოვნებლივ შინ გასწი! გესმის?

შეტრიალდა წასასვლელად, მაგრამ ხელი დავტაცე და მკერდზე მი-  
ვიყარი.

— ახლა კი წადი, ჩემო ბიჭუნა, — ვუთხარი ბოლოს ალერსიანად.

— მშობლები მომიკითხე. ჩვენ კიდევ შევჭდებით და ვნახავთ ერთმა-  
ნეთს...

და აი, ისე მოხდა, რომ მხოლოდ ათი წლის შემდეგ შევჭდით ერთ-  
მანეთს.

სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, როგორც იცი, ჩემს  
ძველ პროფესიას დავუბრუნდი.

ერთი კვირის წინ, სამსახურის საქმეების გამო დავალებული  
მქონდა ტყების შემოვლა და გამოკვლევა, — ისევ მომიხდა სოხუმის  
ჩრდილოეთით იმ პლიტებში ასვლა, სადაც ოდესაც ჩემი ნაწილი იდგა.

ცხენით მივდიოდი. მზანი დღე იყო, პირველად ვიყავი ამ მთებში  
იმ დროიდან, როცა მტრისგან ვიცავდით აქაურობას. არც თუ ისე დიდ  
ხანს გაევლო მას შემდეგ და მაინც რაღაც შორეულ მოჩვენებად, აგ  
სიზმრად წარმომიდგნენ ის მრისხანე, შავბნელი დღეები.



აღმართში ვიღაც ახალგაზრდა ცხენოსანი წამომეტია.

— შორს მიშრძანდებით? — მკითხა მისალმების შემდეგ.

ვუთხარი სად და რისთვის მივდიოდი.

— მაშ, ჯერჯერობით ერთი გზა გვქონია, — თქვა უცნობმა მხედარშა. — აი, იმ ტაფობის ძირში დაგმორდებით ერთმანეთს. იქიდან თქვენ მარცხნივ გაუხვევთ, მე კი პირდაპირ წავალ. პირველად ხართ ამ კუთხეში?

— არა, ნამყოფი ვარ, — ვუპასუხე, — მაგრამ მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა...

მხედარმა თანაგრძნობით გადმომხედა და შემომთავაზა:

— ძალიან საშურო საქმეზე მიმეჩერება, კოლმეურნეები მელოდებიან აი იქ, ქვემო სოფელში, მაგრამ ნუ შიშობთ, რომ გზას ვერ გააგნებთ, ცოტაზე მაინც გაგვევებით...

უარი ვუთხარი და თანაც მადლობა გადავუხადე თავაზიანობისათვის.

მოხდენილი ვაჟგაცი იყო, პირველ შეხედვისთანავე მომეწონა, ხოლო იმ გულისხმიერების შემდეგ, რომელიც მან გამოიჩინა, კიდევ უფრო მიიზიდა ჩემი გული. ღონიერი, გამწევი ზერდაგი პყავდა და ჩემს ცხენს ხან შილტით და ხან ფერდებში ქუსლის შემოკვრით ვაჩქარებდი, რომ არ ჩამორჩენილიყო.

— აქაური ხართ? — ვკითხე თანამგზავრს.

— დიახ, აქაური. აი, იქ, ზევით, ტაფობის თავზე რომ სოფელია, იქიდან ვარ. ეს ერთი თვეა ვმუშაობ კიდევაც იქ. შარშან ზოოტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე. ერთ ხანს სოხუმში ვმუშაობდი, ახლა კი ჩვენს კოლმეურნეობაში გადმოვედი...

— მინახავს თქვენი სოფელი, ომის დროს ვიყავი იქ, — ვუთხარი მე.

— ლამაზი ადგილია, ოღონდ...

შინდოდა მეთქვა, რომ ძალიან მაღალზეა, მაგრამ მხედარმა სიტყვა ჩამომართვა და ხალისიანად წამოიძახა:

— ომის დროს? ახლა უნდა ნახოთ, თუ გინდათ მისი ნამდვილი სილამაზე და სიგეთე იგრძნოთ! ახლა სულ სხვაა ჩემი სოფელი. გაფართოვდა, გამშვენიერდა, დოვლათით აივსო! — წუთით დადუმდა და მერე დაუმატა: — თუ ჩემნენაც გექნებათ საქმე, პირდაპირ ჩემთან მოდით. იამოვნებით დაგეხმარებით, თუ რაიმე დაგჭირდათ. ბინაც ჩემთან იგუ-

ლეთ. ახალი სახლი გვაქვს, კარგად მოგასვენებთ. ადვილად მომაგნებთ, მესაქონლეობის ფერმის ბრიგადირი ოტია ესებუა იკათხეთ. მამაჩემის სახლს ყველა მოგასწავლით...

ამის გაგონებაზე გული შემიტოკდა. მივაშტერდი ჩემს თანამეზავრს. თითქოს თვალებიდან რიცე ჩამომექსნაო, მაშინვე ვიცანი ვინც იყო და ჯერ ჩუმად, შემდეგ კი ხმიანად შევძახე:

— ზურია!

მან გაოცებით შემომხედა, როცა თავისი სახელი გაიგონა.

რა თქმა უნდა, ის იყო! ოდესდაც პატარა ზურია, ახლა მშვენიერი და ხალისიანი ვაჟებაცი!

— საიდან იცით ჩემი სახელი? — მკითხა გაკვირვებულმა.

ისე იყო გაოცებული, რომ ცხენი შეაჩერა და ერთ ხანს გაშტერებით მიყურა.

— ვერ გაიხსენე ჩემი სახე? — ვკითხე ღიმილით. — მაშინ იქნებ ის გაიხსენო, თუ როგორი ურჩობა გამიწიე ერთხელ, როცა მწვერვალის ასაღებად ჩემს ნაწილს გაჰყევი... ან იქნებ მამაშენი იგონებდა ხოლმე თავის შეკობარ მაიორს...

მაშინვე თავისი ზერდაგი მოაგდო ჩემს ლაფშასთან, უნდოდა გადამ-ხვეოდა, მაგრამ ცხენი დაფრთხა და გახტა. ზურია გადმოხტა უნაგირიდან, მეც ჩამოგქვეითდი და მცურვალედ გადავევიეთ ერთმანეთს.

— რა მოხდებოდა შემდეგ, ეს შენთვის ადვილი გასაგები იქნება, — ლაამთავრა ამბავი ჩემმა მეგობარმა მეტყვევემ. — ზურიამ სიტყვა ჩამომართვა, რომ დავამთავრებდი თუ არა საქმეს, ვესტუმრებოდი... ვეწვიე კი-დევაც. ზურაბმა მართალი მითხრა, — ძალიან გამოცვლილიყო იქაურობა. სიმდიდრე და კმაყოფილება ემჩნეოდა ყველაფერს... აი, ოტიას კაგლის ხე, ერთმანეთზე გადაგრეხილი ორი ნაძვი, მხოლოდ იმ ადგილას, სადაც უკანასკნელად ნაცარი და ფერფლი დაგტოვე, ახლა ოდა იყო წამოჭიმული... როგორც დიდი ხნის უნახავ საყვარელ ძმას, ისე შემსვდნენ ფელიკო და ოტია. ქალმა წაუტირა კიდევაც სიხარულისაგან. განვლილ წლებს თავისი კვალი დაემჩნია ჩემს მეგობრებზე, განსაკუთრებით ფელიკოზე. ოტიას ძალუშე მორეოდა ჭაღარა, ლოყაზე ერთვან დამწვრის კვალი აჩნდა. ჩვენ მრავალი რამ გავიხსენეთ წარსულიდან და ბევრი რამ ახალიც გაეუზიარეთ

ერთმანეთს. ცხოვრების ხალისი ჩანდა ოტიას სახეზე, სიამაყის გრძნობით  
ღაპარაკობდა სოფლის მომავალზე, თავის ფერმაზე, მეზობლებზე, შეიღუ  
და თავის თავს ბეღნიერ ადამიანად თვლიდა.

ორი დღე დავრჩი ჩემს კეთილ მასპინძლებთან. მესამე დიღას დაგენ-  
შეიღობე და გამოვტრუნდი. მამამ და შეიღმა დაღმართზე ჩამომაცილეს და  
მთავარ გზამდე გამოყვნენ. ისინი კიდევ დიდხანს იდგნენ ერთ ადგილას  
და ჩემკენ იცქირებოდნენ. როცა მოსახვევთან უკანასკნელად მოვიხედე,  
ისინი ხელების აწევით დამემშვიდობნენ, გააბრუნეს ცხენები და ჭენებით  
გასწიეს.

მოვდიოდი და სიხარული მომყვებოდა. ალბათ გამოგიცდია, კარგი  
თანამგზავრია! ღირდა, რა თქმა უნდა, მრავალი გასაჭირი გადაშე-  
ტანა წარსულში და თავიც გამეწირა, ოღონდ ისევ ხალისი შეოჩენოდა  
ზევრ სხვა ოტიასაც და მომავალი არ დაპკარვოდა მრავალ სხვა ზურიასაც. მოვდიოდი და გულს ემღერებოდა. და განა მარტო მე — ეს მწვანედ  
დაბურული მთები, ყოველი ხე და ბუჩქიც სიხარულის ხმას გამოსცემდა. შლეროდა მზეც, რომელიც ოქროდ გადმოღვრილიყო ამ მაღლიან დედამი-  
წაზე. არა, არასდროს არ დაცხრება ჩემი ქვეყნის მზე, ჩემი ქვეყნის  
ხალისი!



ნაზოლარა

ლიხის გადაღმა სოფლებში თუ გიცხოვრიათ, ალბათ შეამჩნევდით, რომ წინათ ბევრი იქაური ხანშესული გლეხი გრძელ წევრს ატარებდა. ამით ისინი ჩამორგავდნენ ძველთაძველ დროში ქვაზე გამოკვეთილ ასურელებს. მათ ღირსეულად ეჭირათ თავი, თითქმის ამაყადაც, უნებურად პატივის-ცემას იწვევდნენ და, ლეგენდარული ლირის არ იყოს, თავისი დიდებული შესახელაობა მაშინაც არ დაუგარებათ, როცა უბედურება თავზე დასტესიათ და სასოწარკვეთაში ჩაგარდნილან.

ამგვარი გარეგნობის გლეხები უკვე გადაშენდნენ, მაგრამ აქა-იქ ახლაც მოიძებნებიან.

ერთი ასეთი შემორჩენილთაგანია ჩემი ძველი ნაცნობი იორდანე ბუბა-შვალი. მე ის ბავშვობიდან მახსოვდა. ჩევეულებრივი მოსახლე, უბევრი არაფრის მქონე, მაგრამ ეთაკილებოდა სხვაზე ნაკლებობა და თავი მუტამ ისე ეჭირა, თითქოს ბედით კმაყოფილი იყო. მაღალი ყორით შეკრულ ეზოში გლეხური დაბალი სახლი ედგა, ისე საიმედო აშენებული, ვითომც საუკუნეებისათვის გადალოცვილი ჰქონდა. ეზოში კიდევ საჩრდილობელი ცაცხვი, ძელური მარანი საწახელით და ოჩოფეხებზე შედგმული სასიმინ-დე. თვითონ რომ გამრჯე იყო, შვილებიც/შრომისმოყვარე ჰყავდა. ცისკრი-დან დაბინდებამდე საქმიანობით გართული იყვნენ ცოლი, უფროსი ვაჟი და ქალიშვილი, არც თუ ლამაზი, მაგრამ ჯანით სავსე გოგო.

მეორე ბიჭი ალექსანდრე, ყველაზე უმცროსი, მაშინ შეეძინა, როცა აღარავინ ელოდა და, სიმართლე რომ ითქვას, აღარც იორდანეს ძალზე მორეულ ჭადარას შეეფერებოდა. ისე იყო, თითქოს შვილიშვილი დაბადე-ბოდა. მოულოდნელად გაჩენილ ამ ნაბოლარასაც აღბათ ღვთის წყალობად ჩათვლიდა იორდანე, მაგრამ ცოლი მშობიარობას გადაჰყეა და ოჯახი დაობლდა. ერთ ხანს გულში ხინჯი ჰქონდა ამ ნაბოლარასადმი, მისი შე-ხედვაც არ სიამოვნებდა, მაგრამ, როცა პატარამ ფეხი აიდგა და ტიტინი დაიწყო, გული მოუბრუნდა მისკენ და, რაც აქამდე ალერსი დააკლო, შემდეგ ორკეცად აუნაზღაურა. მის მზეს იფიცავდა, ენას უჩლექდა და ხშირად, როცა მკერდში ჩაიკრავდა, აღტაცებით წამოიძახებდა:

— ეს ბიჭი ჩამიღვამს სულს, ეს მაცხონებს მე!

წამოიჩიტა ნაბოლარა და სკოლაში მისცეს. იმ დღეს, როცა მხარზე ჩანთაგადაკიდებული პირველად სასწავლებელში გაისტუმრეს, იორდანე გაოგნებულივით დაბორიალობდა სახლში და ეზო-გარემოში. ასე გახარე-ბული და ბედნიერი არასოდეს არ ყოფილა. ისე შეიგრძნო ეს ამბავი, თითქოს სასწაული მომხდარიყოს, ხოლო თავისი მომავალი ცხოვრება რაღაც დიდი ნათელით მოსილი წარმოუდგა....

დრომ მოაწია და ზოგი რამ ცვლილებაც მოხდა ბუბაშვილების ოჯახში. უფროს ვაჟს მამამ ქალი უთხოვა და, როგორც კი რძალი შინ შემოიყვანა, თავისი ქალიშვილი ღირსეულად გაამზითვა და ახალ პატრონს ჩააბარა. რძალი მარჯვე დედაგაცი გამოდგა, — ქმრის მოსიყვარულე და მამამთილის პატივისმცემელი, ალექსანდრესადმი ყურადღებიანი, კუთხე-მეზობლის გამკითხავი და, ყველა ამ სიკეთესათან ერთად, ერთობ ხალისიანი. ის რომ

საღამოს, საქმეს მოლეული, ეზოში გიტარას გამოიტანდა და დაამდერებდა, ადამიანი კი არა, გარემოც გაყუჩებული და დამტკბარი უსმენდა. იღბლიანი გამოიტანა

იღბლიან კაცად თვლიდა იორდანე თავის თავს და, ბედის მაღლიერს, წინ ტკბილი მოხუცებულობა ერატებოდა.

ამ კმაყოფილებაში მდინარებდა მისი ცხოვრება, როცა უკანასკნელად სოფელი დავტოვე. მრავალმა წელმა გაიარა, რაც იქ არ ვყოფილვარ, და თუ ხანდახან იქაურობა მომაგონდებოდა, თვალწინ ყოველთვის გრძელწერა იორდანეს სახეც გაიელვებდა.

დიდმა დრომ განვლო, როცა ისევ ვესტუმრე ბავშვობიდან საყვარელ აშ კუთხეს.

შემოდგომის საღამო იყო. სოფლის შარაზე მივაბიჯებდი. წელიწადის არც ერთ დროში მზე ისე კეთილი და სასიამოვნო არ არის, როგორც სექტემბრის მიწურულში. ზაფხულის თვეებში მხურვალე სხივებით გააძლებს მიწას, მწვანით შემოსავს მთა-ბარს, ხესილს სიტკბოდ შეეწოვება და შემდეგ, შემოდგომაზე, ნაბობოქრალი, დაცხრება და დატკბება. ახლა კიდევ უფრო ლამაზი ჩანს ფერშეცვლილი, ყვითლად დამშვენებული გარემო. ყველაგან აჭრილია ყანა, ბალებში ხილი დაკრეფილია, ეზოებში გამდგარა მაჭრის სურნელი.

აი, ის ძელქნარი, რომლის ტოტებქვეშ დაბინდებისას თავს იყრიდნენ ხოლმე დარბაისელი სოფლელები და გვიან ღამემდე საუბარში ერთობოდნენ. აი, ის ბექობი, რომლის ძირში ჩვენი პატარა მდინარე სისწრაფეს ანელებდა და ღრმა კალაპოტში მშვიდად მიედინებოდა. ახლაც მესმის ის გიური ჟრიამული, წყალში ჩაყრილი ტოლები რომ ავტეხდით.

ვხედავდი ნაცნობ ადგილებს, მაგრამ ყველაგან აღარ მეგებებოდა ჩემი ახალგაზრდობა. ბევრი რამ შეცვლილიყო აქ. საღაც ველური ბუჩქნარი მახსოვდა, ახლა ვაზი და ბაღი ხარობდა. ძეგლი ქოხმახების ადგილზე ბევრგან მაღალი სახლები ამართულიყო. ალაგ კი ძველებურად დარჩენილიყო ყველაფერი.

იორდანეს ცაცხვიც ისევ ისე ტოტებგაშლილი დავინახე, ოღონდ თითქოს გაველურებული და მარტოობაში მყოფი. თითქოს იგივე ეზო, მაგრამ აღარც ყორე, აღარც ის სახლი და აღარც მარანი. რაღაც ფაცხა იდგა მხოლოდ. თვითონ იორდანე?

პატარა აღმართი ავიარე და მოულოდნელად ისიც დავინახე. გზის  
პირად იჯდა და რქებში ბაწარჩაბმულ ძროხას აძოვებდა. პირუტყვა  
მაყვლის ბუჩქში თავი შეერგო და სიგრილეში შერჩენილ ზალახს  
ექვებდა.

იორდანე ძალზე მოხუცებულიყო. გრძელი წვერი, ყვითლად ფერნა-  
კრავი, მკერდზე ეფინა.

მხოლოდ მაშინ მიცნო, როცა ვინაობა ვუთხარი. გაოცებით და თანაც-  
ისე ალერსიანად ამომხედა, შევატყვე, ჩემი ნახვა ესიამოვნა. წამოდგომა-  
დააპირა, მაგრამ მე თვითონ მის გვერდით ჩამოვჯექი.

მისი ამბავი მოვიკითხე.

— მადლობელი ვარ, ჭირიმე, — ყრუდ ჩაილაპარაკა. ჩაჩუმდა, მერე,  
გამომცდელი თვალით გადმომხედა და უცრად რატომდაც ჩაიხითხითა. —  
მე რაღა საკითხავი ვარ, ჩემო ბიძიკო. დავლოდიალობ, დავათრევ გაძალლე-  
ბულ სულს. არც მკვდრებში ვწერივარ და აღარც ცოცხლებში.

ჩემი გაკვირვება შეამჩნია და განაგრძო:

— ახლა შენ იმას იფიქრებ, ბერიკაცია და ბუზღუნობსო. ეგ კი არა,  
დაილოცა ღვთის სამართალი, ჩემს ამბავს რომ წარმოვიდგენ, ისე მიკვირს,  
გამეცინება ხოლმე კიდევაც. შენ ჯვარი გწერია და, რაც ჩემს თავზე ამბავია,  
არაკად არ თქმულა. არა, ნამდვილად ღმერთსაც საქმე შემოლევია, თორემ  
აბა, რაღა ჩემზე მოიცალა? ისე გამამასხარავა, რომ მე თვითონვე მეცინება.  
აჲ, არა, ბიძიკო, არ იფიქრო, ჭკუაზე შემცდარი არ გეგონო. შენც გაგეცი-  
ნება, რომ გაიგებ... ჩემს კართან ჩამოივლიდი ახლა შენ. მერე? მოგეწონა  
იქაურობა? ჰოდა, ასეა. შენი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, რავა მოგე-  
წონებოდა.

ჩემი უფროსი ბიჭი, გაგონილი გექნება, ომიდან აღარ დაბრუნებულა. ასე გვაცნობეს, საცხა კარპატები ყოფილა, იქ დაიღუპაო. ერთ ხანს ისევ  
მაინც მის მოლოდინში ვიყავით. ერთი-ორი კაცი, მათი ჩამოსვლის იმედი  
რომ აღარ ჰქონდათ, ისეთი დაბრუნდა შინ. ეგერ კიდევ, ჩემი მეზობლის  
ბიჭი, გამოტირებული რომ ჰყავდა ყველას, ახლა ჩვენი ბრიგადირია,  
კელამ პირველი კაცია სოფელში. ჰოდა, ვიფიქრეთ, ღმერთი მოწყალეა,  
იქნებ ჩვენც შეცდომით გვაცნობეს-თქვა. სანამ მის მოლოდინში ვიყავით,  
ჩემი რძალიც ჭკუით იყო. ვინ იცის, მისგან რომ შვილიშვილი მყოლოდა,

შეიძლება ახლაც შეუით ყოფილიყო. მარა, დეილოცა ღვთის სამართალი, არ გაიმეტა ჩემთვის ეს წყალობა. ამასობაში, შენ ხარ ჩემი ბატონი, მშვიდობაც ჩამოვარდა, მარა სამაგიეროდ ჩემს სახლში დაიწყო არეულობა. რომ გადაგვიწყდა ბიჭის დაბრუნების იმედი, ჩემმა რძალმა, არ ვიცი, რა ეშმაკები შეუჯდა, აიქნია ხელი ყველაფერზე და მეც ამისირდა: ჩემი ქმარი მიწაში ლპებოდეს და შენ სული გედგასო? ნამეტანი გამიმწარა სიცოცხლე. მაინცდამაინც შენც ჩაძალლდიო. სასიცოცხლო პირი აღარ მქონდა ჩემი ბიჭის დამკარგავს, მარა რა მექნა, თუ თვითონ არ ამოძვრა ეს ოხერი სული? ა, რა მექნა? ძალათი მომეკლა თავი? გაგონილა ამისთანა ცოდვის კითხვა?!

ერთ დღეს ჩემმა რძალმა გამომიცხადა, ჩევნი ერთად ცხოვრება არ მოხერხდებაო. გაჟყო შუაზე სახლი, მარანი, რაც რამ მებადა, აიკრა ბარგი და თავის სოფელში გადავიდა საცხოვრებლად. დავრჩით ასე მარტო მე და ჩემი უმცროსი ბიჭი. ჰო, ალექსანდრე... ვიფიქრე, აგერ ეს ბავშვი სწავლას გაათავებს, ამაგს დამიფასებს, შხარში ამომიდგება და გევიმართებით-მეთქი წელში... მარა, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, დასტურ ჩემზე ყოფილა ეს ნათქვამი... სწავლა კი დაამთავრა ჩემმა ალექსანდრემ, მაგრამ რა ვიცოდი, თურმე იმ დღეს მემსხბოდა თვალი. აბა, ბიჭო-მეთქი, ახლა შენ იცი და შენმა კაცობამ-მეთქი! და მე რომ გახარებულმა ხელი გადავხვიე, ასე მითხრა: — „რა ვქნა, მამაჩემო, შენ რომ ფიქრობ, ისე არაა საქმეო, სოფელში გამჩერებელი არ ვარო. სწავლა იმიტომ კი არ მივიღე, რომ ჭოტივით გამოყრუებულ ფუძღუროში ვიცხოვოთ. ახლა ძევლი დრო ნუ გვონია, ყველას საშუალება აქეს დიდი კაცი გახდესო!“ დაპრა ფეხი და წავიდა. რატომ, შენს თაქს შემოვეველე, სოფელში არ დაედომება ნასწავლ კაცს? განათლებულმა კაცმა რომ ხანდახან ტალახში ფეხი გაისვაროს, ცა ჩამოენგრევა თავზე? სანანებლად უნდა გამხდომოდა, რომ ბავშვმა წიგნი ისწავლა?

ასე მოგახსენო, ხუთი წელიწადი გავიდა, მისი ასავალ-დასავალი არ ვიცოდი. მერე როგორდაც მოვგონებივარ და ინამუსა, ჩამოვიდა, მნახა, რა დაგიმალო, გულნატკენი ვიყავი, მარა, რომ დაეინახე, ისე მიამა, ღმერთი გამომეცხადა-მეთქი. ერთი-ორჯერ დავაძირე გულის მოსაფხანად მაინც საყვედური მეთქვა ჩემი დავიწყებისათვის, მაგრამ ისე იყო გამოწყობილი, ვერ შევბედე. სკამი მივართვი ჩვენებური, სოფლური, სამფესა. ცხვირსა-

ხოცი ამოილო და დააფინა. უბრალოდ დაჯდომა არ ინება. ვიფიქრე, კაც  
ცხოვრებას შეჩვევია და მე რომ ახლა ვუსაყვედურო, აქაურობა რატომ მიზანული  
ტოვე-მეთქი, ასე იტყვის, გამოჩერჩეტებულა მოხუციო. როგორ ცხოვრობო,  
მიითხა. როგორც ხედავ-მეთქი. მიიხედ-მოიხედა და შევატყვე არ ესიამოვ-  
ნა. ვერ მოგიწყვია გარგად შენი ცხოვრებაო. ე, მაშინ კი ვეღარ მოვითმინე  
და შევებადრე: — რაობით-მეთქი, შვილო? თუ ყველა შენსავით ასალგაზრდამ  
სოფლად ცხოვრება იუკადრისა და გაქცევა არჩია, ჩემისთანამ რა გააწყოს-  
მეთქი? იმ ღღეს მეზობელთან ისადილა. ჩემი მოტუტყული სადილი რაში  
ეამებოდა. იქვე გაითია დამე და მერე თავის გზას გაუდგა. ის იყო და ის.  
იმის შემდეგ მისი ლანდი აღარ მინახავს. აღარც ჩემს ამბავს კითხუ-  
ლობს, — მკვდარი ვარ, ცოცხალი ვარ. ვეღარც მე მივიკვლიე სად არის.  
ბუღალტრად უნდა იყოს სადღაც, არ ვიცი თბილისში, არ ვიცი ბათუმში.  
ღმერთმა კარგად ამყოფოს, მარა, ეს მითხარი, ამ ნასწავლ ხალხს სოფლად  
არ დაედგომება, თუ რავაა საქმე? აქ მათთვის საქმე არ მოიძებნება, რომ  
ქალაქ ადგილას გარჩიან? ან რომელ წიგნში ამოიკითხეს, სახლ-კარი  
მიატოვე, გადაშენდი, გადაგვარდი, შენიანიც დაივიწყე და შენი ბუღალტ  
მოშალეო? კიდევ მადლობა ღმერთს, ყველა ჩემი შვილივით არ არის.  
ზოგ-ზოგი ვინმე, ვინც აქ დარჩა, ურიგოდ არ ცხოვრობს. ვინც შრომას არ  
გეექცა ეგერ, შენც ხედავ, ახალი ოდა-სახლები წამოჭიმა. წინათ რომ  
ჭრაქით ვიჭვარტლებოდით, ახლა აქაურობა ელექტრონით არის გაჩაღე-  
ბული. კარგი საქმეა, მარა, ბატონო, ეს ხალხი თუ შემოეცალა სოფელს,  
ვიღას გაუნათოს ელექტრონმა? ჰოდა, ასე იყო, ჩემო ბიძიკო, ჩემი ალექსან-  
დრეს ამბავი. მე რომ იმან თავისი სწავლით გამახარა, ისე შენმა მტერმა-  
და ორგულმა იხარა. მარა, კაცი, თურმე, მაინც გაუტესელი ყოფილა. ვიფი-  
ქრე, ბიჭმა იმედი არ გამიმართლა, ეგერ ქალიშვილი მყავს და ხანდახან  
მაინც მომსედავს-მეთქი. ძალიან რომ გამიჭირდა, დაფგარი ერთხელ ფეხი  
და წავედი მასთან. სანამდი გავამზითევდი, სულ თვალში მიყურებდა და  
შაქარი ამოდიოდა პირიდან. ვიფიქრე, მივაღ, შევჩივლებ, მისი ძმის  
შერცხვენას ვეტყვი, გულს მაინც მოვიოხებ-მეთქი. მივედი, ყმაწყილო, და...  
ხი-ხი! სადღარა ჩემი ქალიშვილი, ან მისი ქმარი! ისინი კი არა, ნასახლარის  
ქვალიც აღარ ჩანს მათ ბარობაზე. მიუყიდ-მოუყიდნიათ თუ რაშ გააჩნდათ  
და ქალაქ ადგილას გადასულან. მეზობლებმა მითხრეს, იქ სახანძრო

რაზმში მსახურობსო... სხვას თუ ცეცხლს უქრობს, მე რაღას მერჩის ის  
ოჯახაშეებული? მე რაღაზე გამიჩინა გულში ასეთი ჩაუქრობელი  
ცეცხლი?

პოდა, ასე შემომცალა ყველა. ამაზე იყო მოგახსენე, რომ არც  
მკვდრებში ვწერივარ და ალარც ცოცხლებში. ეს ერთი გლახა ძროხა შემრჩა  
შვილების მაგიერ და ამაზე ვიყოლიებ თავს. ხი-ხი! არა, რომ თქვას კაცმა,  
ჩვენი კოლმეურნეობა არ მივიწყებს და, თუ ხელის შეწყობით, თუ ალერ-  
სიანი სიტყვით მამხნევებს ხოლმე. ასე რომ არ იყოს, საცხა ყვავიგით ამომ-  
ძრებოდა სული... მოგაწყინე, ბიძიკო, თავი, მარა, მოგეცა სიხარული,  
ცოტა გულზე მომეშვა შენთან ლაპარაკით“.

ძროხა მეორე ბურდისკენ მიიწევდა.

— დეჩი, შე სამგლე! — ბაჭარი მოქაჩა იორდანემ და მერე სევდანა-  
რევი ღიმილით გადმომხედა: — ა, ბატონო, ხომ ხედავ, ესეც ჩემგან გაქ-  
ცევას ცდილობს. ვიცი მე, ბოლოს არც ეს გამახარებს. ხი-ხი!

\*  
\* \*

ეს იყო და ეს. მეტი არაფრით იყო შესანიშნავი მოხუცი იორდანეს  
ცხოვრება. მეტად მარტივი ამბავია და იქნებ არ ღირდა ამაზე თქვენი<sup>1</sup>  
ყურადღების შეჩერება. რა თქმა უნდა, აქ საჭირო იყო მცირეოდენი სამკა-  
ულით მაინც ამეჭრელებია ამბავი, ბოლოს აღმეწერა, თუ როგორ დავემ-  
შვიდობე იორდანეს, როგორ თანდათან დაეშვა ბინდი და ცის სიღრმეში  
როგორ აკიაფდნენ ვარსკვლავები. იქნებ ამით მაინც მოგვერიდით ცოტა-  
ოდენ სიამოვნებას. თუ არა და, მაში ისე რა ყურადღების ღირსი იყო ეს  
სრულიად უმნიშვნელო პატარა ამბავი პატარა ადამიანზე! თუ მაინცდა-  
მაინც საჭირო იყო მეამბნა რაიმე, ამაზე უფრო ღირსშესანიშნავი ვერა-  
ფერი მოიძებნა? რამდენი საქვეყნოდ ცნობილი კაცი, ანდა წარსულში  
რამდენი გვირგვინოსანი და სახელგანთქმული რაინდი დარჩა აღუწერე-

ლი?! რა აურაცხელი სიმდიდრე, ბრწყინვალება და რომანტიკაა იქ, — ნადიმები, სიყვარული, არაბული ტაიჭების მარულა, ქორ-შავარდნებით ნადირობა, სეფე-ქალების ფარჩის შრიალი! და უეცრად ამის მაგიერ რაღაც სოფელი და ვიღაც გრძელწვერა მოხუცი. რა შედარება! სასაცილობ, რა თქმა უნდა! მხოლოდ შეცოდების ღირსია ასეთი ღარიბი ფანტაზიის მქონე ავტორი.

ს ს რ ჩ ე ბ ი

ნაცარა	3
ჭინქა-ბიჭები	20
ორბი	25
ზურია	30
ნაბოლარა	42



რედაქტორი გ. ჭანტურაა  
მხატვარი ბ. ხაფთასი  
მხატვრ. რედაქტორი ო. ჭიშკარიანი  
ტექნიკური გ. ზეტრეველი  
კორექტორი მ. ახვლედიანი

ხელმოწერილია დასბეჭდიდ 17/VIII-61 წ.  
ანაწყობის ზომა 7×10,  
ქაღალდის ზომა 70×921/<sub>16</sub>,  
ნაბეჭდი თაბახი 3,25.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,5,  
ტირაჟი 20.000. შეკვ. № 287.

ფასი 8 გაპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარპილიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა,  
თბილისი, ორჯონიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.



КЛДИАШВИЛИ СЕРГО ДАВИДОВИЧ  
НАЦАРА

(На грузинском языке)

Художник Б. Хавтаси

Детюниздат Грузинской ССР  
«Накадули»  
Тбилиси  
1961

Z 186  
522

